პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდით

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
... საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე
ტელეფონის ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—53.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 10
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 30 კ. ქალაქს გარეშე მცხოვ. მკითხ.—1 მან. 40 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 90 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის 1 მან. განცხადება 20 კ. ხაზი [illegible] ნომპარელის სტრიქონი. სამ [illegible] განცხადება 5 მან. ხაზი. განცხადებები [illegible] ნომერში მიიღება მხოლოდ 2 [illegible]

№ 70 (925) პარასკევი, 28 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 70 (925)

დღიური

— საბჭოთა რუსეთის სხვადასხვა ტრესტები თავის ნაწარმოებს უკლებენ ფასებს.

— ჰამბურგის და ბრემენის (გერმანია) ნავთსადგურების მუშები განაგრძობენ გაფიცვას.

— საფრანგეთის საფეიქრო წარმოებათა 12 ათასმა მუშამ გამოაცხადა გაფიცვა.

— პოლონეთის მრეწველობა დიდ კრიზისს განიცდის: გაჩერებულია ლითონის ქარხნები.

— ინგლისში დაიწყო ტრამვაის მუშების გაფიცვა.

ყველა ხელისმომწერლებს დაურიგდა უფასოთ

ჩვენი გაზეთის სალიტერატურო-სამხატვრო ორკვირეული დამატება

„ჩირაღდანი“ (№ 7)

„კომუნისტი“-ს ხელისმომწერლები **მიიღებენ აპრილში უფასოთ** პროლეტარიატის ბელადების საერთო სურათს (მარქსი, ენგელსი, ლენინი, ტროცკი, ბუხარინი, სტალინი-ჯუღაშვილი, კალინინი, ცხაკაია, მახარამე და სხვ. სულ ხუთმეტამდე).

ამ დღეებში ჩვენ დაურიგებთ ხელისმომწერლებს **მარტის პრემიას**, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობის სურათს კარგ ქაღალდზე.

მიიღება ხელისმოწერა „კომუნისტზე“ აპრილისთვის

მუშა-მოსამსახურეებს, წით.-არმიელებს და მოსწავლე ახალგაზრდობას

გაზეთი გაეგზავნება აპრილში უფრო დაკლებულ ფასებში, ვინემ მარტში

ერთი თვით	ტფილისში	80 კაპ.
	პროვინციაში	90 კაპ.
ორი თვით	ტფილისში	1 მან. 55 კაპ.
	პროვინციაში	1 მან. 75 კაპ.
სამი თვით	ტფილისში	2 მან. 30 კაპ.
	პროვინციაში	2 მან. 60 კაპ.
ექვსი თვით	ტფილისში	4 მან. 55 კაპ.
	პროვინციაში	5 მან. 15 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვისაც **გაზეთის ფასი მცირდება** თვიურათ ერთი აბაზით.

ტფილისში (მიტანით) ღირება თვიურათ 1 მ. 30 კ.

პროვინციაში

1 თვით 1 მან. 30 კაპ.	4 თვით 5 მან. 20 კაპ.
2 „ 2 „ 60 „	5 „ 6 „ 50 „
3 „ 3 „ 90 „	6 „ 7 „ 50 „

პროვინციის ხელისმომწერლებმა უნდა შემოიტანონ, გარდა ფასისა, გაზეთის გადასაგზავნი ხარჯების დასაფარავად, ორი შაური თვიურად.

სოფლის ცხოვრების უფრო მეტი გაშუქება

(პროვინციელ კორესპონდენტების რეგისტრაციის გამო)

ჩვენმა რედაქციამ, როგორც მკითხველმა უკვე იცის, გამოაცხადა თავის პროვინციელ კორესპონდენტების რეგისტრაცია.

ეს ღონისძიება ისახავს არა მარტო სტატისტიკურ-საანკეტო, არამედ უფრო ფართე მიზნებს, არა მარტო ჩვენი კორესპონდენტების რაოდენობის და ვინაობის სწორ გამორკვევას, არამედ გაზეთში თვით პროვინციის ცხოვრების უფრო ფართოდ გაშუქებას, ვინემ ეს დღემდე იყო.

ზედმეტია იმაზე სიტყვის გაგრძელება თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროვინციის სინამდვილის სრული და უტყუარი სურათის გადაშლას გაზეთის ფურცლებზე.

პირველ ყოვლისა ამით იბმება მჭიდრო სულიერი კავშირი ხალხსა და გაზეთ შორის. ვის არ უნახავს ისეთი სურათი, როცა გლეხები ეძებენ გაზეთის იმ ნომერს, სადაც აღწერილია რაიმე ფაქტი, შემთხვევა მათი სოფლიდან, მათი ცხოვრებიდან. გლეხები გაფაციცებით დაეძებენ ამ ნომერს, დიდი ინტერესით კითხულობენ, ან სხვას აკითხვინებენ ხმამაღლა. ბჭობენ, ლაპარაკობენ, ერთმანეთს გადასცემენ ახალ ცნობად, რომ პრესა ყურადღებას გვაქცევს, ჩვენი ამბავი „გაზეთში ჩაუგდიათო“.

ეს მთელი „მოვლენაა“ იმ სოფლისათვის, რომლის შესახებ კორესპონდენციაა მოთავსებული გაზეთში.

რაც უფრო ხშირია ასეთი კორესპონდენციები, რაც უფრო ხშირად აღბეჭდავს სოფლის ცხოვრებას გაზეთი თავის ფურცლებზე, მით უფრო ვრცელდება ის (გაზეთი) მშრომელ მასსაში, ხდება მის აუცილებელ მოთხოვნილებად.

და ეს მნიშვნელოვანია არა მარტო გაზეთის ტირაჟის გაზრდის მხრივ.

უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ გლეხი ეჩვევა გაზეთის კითხვას, რაც დიდად უწყობს ხელს მის გათვითცნობიერებას, გონებრივ განვითარებას. მისი პოლიტიკური და კულტურული შეგნება მაღლდება, მისი შეზღუდული გონებრივი ჰორიზონტი ფართოვდება, ის, ასე ვსთქვათ, მონაწილე და თანაზიარი ხდება იმ ამბების, რაზედაც მოგვითხრობს გაზეთი. ამით ის გამოდის თავისი ქოხის, თავისი სოფლის ფარგლებიდან და უერთდება დანარჩენ მასსას, მთელ კაცობრიობას. გაზეთი არის ხალხის შემაკავშირებელი და დამრაზმველი.

ამ მხრივ სოფლის კორესპონდენციებს შეუძლიათ უდიდესი როლის შესრულება.

მაგრამ მათი მნიშვნელობა არც ამით განისაზღვრება.

ეჭვი არ არის, რომ კერძოდ პროვინციებში ბევრი რამ არის კიდევ გასაკეთებელი, ბევრი რამ არის მოუწყობელი. ისიც უდავოა, რომ ჩვენს აღმშენებლობითი მუშაობას მრავალი ნაკლულოვანება ახლავს თავს, შესაძლებელია აგრეთვე რომ ჩვენს საბჭოთა აპარატში, განსაკუთრებით მის ქვედა რგოლებში და სხვა ორგანოებში აქა-იქ ხდება კიდეც ბოროტმოქმედება, აქა-იქ შეპარული არიან საეჭვო პირები, რომელნიც ბოროტად იყენებენ თავის თანამდებობას, ხალხის და უმაღლესი ხელისუფლების ნდობას.

პრესაში სოფლის მდგომარეობის გადაშლა, ყოველგვარ ნაკლულევანებათა აღნიშვნა, ბოროტმოქმედებათა და მათ ჩამდენთა მხილება უდიდეს სარგებლობას მოუტანს მთელი ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის და მართვა-გამგეობის გაჯანსაღების საქმეს პროვინციაში.

კორესპონდენცია ერთი მხრივ არის წინასწარი გამაფრთხილებელი საშუალება ყოველგვარი უკანონობის და უმოქმედობის წინააღმდეგ, მეორე მხრივ — ძვირფასი მასალა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება გამოიყენებს ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად, ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად და ხალხის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამასთან ცხადია, რომ სოფლად სწარმოებს საერთოდ დიდი აღმშენებლობითი მუშაობა ცხოვრების ყოველ დარგში. პროვინციაში ბლომად მოიპოვებიან ჩუმი, მაგრამ პატიოსანი და სახალხო საქმისათვის თავდადებული მუშაკნი.

აუცილებლად საჭიროა ამ მუშაობის მიმდინარეობის და შედეგების აღნუსხვა, აგრეთვე სოფლის მოღვაწეთა დაფასება პრესის საშუალებით.

ამას ცოტა მნიშვნელობა არ აქვს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, მისი პრესტიჟის ამაღლებისათვის ფართე მასსის თვალში.

ეს საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ კარგი მაგალითი წაბაძულობას გამოიწვევს სოფლად მომუშავე ამხანაგებში და უფრო წააქეზებს მეტი ენერგიული მუშაობისათვის პროვინციელ მუშაკებს.

ასე რთული და მრავალმხრივია კორესპონდენციის მნიშვნელობა.

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ყველაფერი ეს კარგად არ აქვთ გათვალწინებული და შეგნებული ბევრ ადგილობრივ ამხანაგებს. კორესპონდენტობა ეს სახვათაშორისო საქმედ მიაჩნიათ და არა პირდაპირ მოვალეობად.

ასეთ გაუგებრობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. კორესპონდენტობა მეტად საპატიო და ამასთან ფრიად საპასუხისმგებლო საქმეა, რომლის შესრულება პირდაპირი პარტიულ მოვალეობას შეადგენს იმ ამხანაგებისათვის, რომელთაც ასე თუ ისე ეხერხებათ წერა და საამისო უნარი და ცოდნა შესწევთ.

რედაქცია მარტო ვერაფერს გააწყობს, თუ მას არ ეყოლება რესპუბლიკის ყველა ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო პუნქტებში მაინც მუდმივი და პასუხისმგებელი კორესპონდენტები.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა გამოყონ ამისათვის გამოსადეგი ამხანაგები, რომელნიც სისტემატიურად გააშუქებენ პროვინციალური ცხოვრების ყველა მხარეს.

გამოცხადებული რეგისტრაცია მიზნად ისახავს სწორედ ასეთი კორესპონდენტების შექმნას და მათი ქსელის გაფართოევებას, და ამ გზით იმ ამოცანების გადაჭრას, რომლებზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ამოცანების განხორციელებაში აქტიურ დახმარებას გაგვიწევენ ადგილობრივი პარტიული, პროფესიული და სხვა სათანადო ორგანიზაციები.

1923 წლის მეორე ნახევრის ადგილობრივი ბიუჯეტი *)

III

ხასაგალი

საკუთარი შემოსავალი ყველა ალმასკომების (თბილისის, ფოთის და ბორჯომის გამოკლებით) ნახევარი წლის განმავლობაში იყო ნავარაუდევი 1.240.693 ჩერვ. მან. ცენტრალურ საფინანსო უწყებას ალმასკომების დიდი უმრავლესობისაგან, სამწუხაროდ, ჯერაც არ მიუღია ბიუჯეტების შესრულების შესახებ ცნობები. სანამ ასეთი ცნობები ყველა მაზრებიდან არ დაგროვდება, ჩვენ იძულებული ვართ დავეყრდნოთ დამტკიცებულ ბიუჯეტების ციფრებს და ზოგიერთ დამატებით მიღებულ ანგარიშებს, რომლებიც ცენტრალურ ორგანოების მიერ დადასტურებულია.

საბიუჯეტო საფუძვლით ალმასკომების საკუთარ საერთო შემოსავალს—1.240.693 ჩერვ. მან. დოტაციის სახით ემატება 405 ათას ჩერვ. მან. ამნაირად ყველა ალმასკომების (თბილისის, ფოთის და ბორჯომის გამოკლებით) ნახევარი წლის შემოსავალი დაახლოვებით უდრის 1.616.000 ჩერვ. მანეთს. აი ამ თანხით უნდა დაფარულიყო ალმასკომების ყოველგვარი ხარჯები, გარდა იმ ადგილობრივ ხარჯებისა, რომელნიც 2 აპრილის დეკრეტით რესპუბლიკანურ ბიუჯეტში შედის.

საინტერესოა იმის გათვალისწინება, თუ რამდენი იხარჯებოდა საერთო ადგილობრივ ბიუჯეტიდან სხვადასხვა ადგილობრივ მოთხოვნილებებზე.

ხარჯებს ჩვენ ვანაწილებთ ოთხ ჯგუფად: ა) საადმინისტრაციო, ბ) სამეურნეო, გ) კულტურა - ჯანმრთელობა-განათლების და დ) სხვადასხვა ხარჯები და სათადარიგო ფონდი.

ა) საადმინისტრაციო ხარჯებში შედის:

§ 1.	საერთო ადმინისტრატიულ დაწესებულებათა შენახვა	202,372 მ.	—12,5 პრ
§ 2.	რაიონების და თემების ალმასკომების შენახვა	217,766 „	—13,5 „
§ 4.	საპატიმრო	24,898 „	— 1,6 „
	სულ	445,036 „	—27,6 „

ადგილობრივ ორგანოების საადმინისტრაციო ხარჯები უდრის 445 ათას მანეთს ანუ 27,6 პროც. საერთო ადგილობრივი ხარჯებისა.

ბ) სამეურნეო

§ 5.	სამეურნეო ორგანოთა შენახვა	119,289 მ.	— 7,4 პრ.
§ 7.	წარმოებათა და სხვა მეურნეობის შენახვა	217,886 „	—13,5 „
§ 13	ტრანსპორტი	21,897 „	— 1,3 „
	სულ	359,072 „	— 22,2 „

ყოველგვარი ხარჯები, დაკავშირებული კომუნალურ წარმოებასთან უდრის—359,072 მან. ანუ ალმასკომების ყველა ხარჯების 22,2 პროც.

გ) კულტურა-ჯანმრთელობა-განათლება.

§ 8.	სახალხო ჯანმრთელობა	272,889 მ.	—16,9 პრ.
§ 11.	სახალხო განათლება	220,267 „	—13,6 „
§ 15.	სოციალური უზრუნველყოფა	53,102 „	— 3,3 „
§ 9.	ცეცხლის საწინააღმდეგო ზომა	12,465 „	— 0,7 „
§ 10.	გზების და მათი ნაშენების შენახვა ქალაქ გარე ადგილებში	61,900 „	— 3,9 „
§ 6.	დასახლებულ ადგილების კეთილმოწყობა	104,724 „	— 6,5 „
§ 17.	ხარჯები სტატისტიკაზე	7,118 „	— 0,4 „
§ 12.	მიწათ-მოწყობა და სასოფლო მეურნეობა	15,537 „	— 0,9 „
	სულ	748,002 „	—46,2 „

უდიდესი მნიშვნელობის დარგებზე როგორიც არიან ჯანმრთელობა, განათლება, კეთილ-მოწყობა და ზოგი სხვა იხარჯება მხოლოდ 46,2 პროც.

დ) სხვადასხვა ხარჯები და სათადარიგო ფონდი.

§§ 16 და 18 სხვადასხვა ხარჯები და ფონდი—64.254 მან 4,0 პროც.

თითოეული ჯგუფის ხარჯები ამნაირად უდრის:

საადმინისტრაციო	27,6 პროც.
სამეურნეო	22,2 „
კულტურა-ჯანმრთელობა-განათლების	46,2 „
დანარჩენი	4,0 „
	100,0 პროც.

საინტერესოა დაპირდაპირება ალმასკომების მთავარი ხარჯების რუსეთის ერობების და ქალაქების სათანადო ხარჯებთან. რუსეთის ერობების ბიუჯეტში განათლების ხარჯები 1914 წ. უდრიდა 31 პროც., ჯანმრთელობის—24 პროც. და გზების—6 პროც., რუსეთის ქალაქებში იხარჯებოდა: თვითმართველობის შენახვაზე—7,4 პროც., ჯანმრთელობაზე—12,5 პროც. განათლებაზე—12,1 პროც., სოციალურ უზრუნველყოფაზე—3,2 პროც., ქალაქის კეთილმოწყობაზე—9,5 პროც. და სხვა. ეს ციფრები გვითვალისწინებს, რომ რუსეთის ქალაქები ძალიან ცოტას ხარჯავდენ ჯანმრთელობა-განათლება-კეთილ-მოწყობაზე, მაგრამ ერობები კი აქ თავის ბიუჯეტის 61 პროცენტს ხარჯავდა ჯანმრთელობაზე, განათლებაზე და გზებზე. ამავე დროს მათი დაწესებულებათა შენახვაზე იხარჯებოდა მხოლოდ 7 პროც. (ქალაქები 7,4 პროც.); დასავლეთ ევროპაში თვითმართველობის აპარატის შენახვაზე იხარჯებოდა: ინგლისში—6 პროც. და პრუსიაში—8,7 პროც. (აქ შედის ქონებათა შენახვის ხარჯებიც) ადგილობრივ ბიუჯეტისა. დაუპირდაპიროთ ერთი მეორეს ზემოთ მოყვანილი ციფრები. ჯანმრთელობა-განათლება-გზებზე რუსეთის ერობები ომამდე ხარჯავდე თავის ბიუჯეტის 61 პროც., საქართველოში ამავე საგნებზე დღეს იხარჯება 34,4 პროც. საადმინისტრაციო ხარჯები ერობების და ქალაქების რუსეთში და დასავლეთ ევროპაში ომამდე უდრიდა 7—8,7 პროც., საქართველოში ეს ხარჯები დღეს უდრის 27,6 პროც.

ასეთია ულმობელი ციფრები. ეს ციფრები გვითვალისწინებენ, რომ ალმასკომის ხარჯებს შორის არ არსებობს ნორმალური შეფარდება.

ადგილობრივ ორგანოების საერთო ფინანსიური პირობები მეტად მძიმეა. ცუდ მდგომარეობაშია განათლების და ჯანმრთელობის საქმე; გზები, ხიდები უკიდურესად გაფუჭებულია; მისვლა-მოსვლა გაძნელებულია, რაც ზედმიწევნით აფერხებს მაზრების კულტურულ და ეკონომიურ მოღვაწეობას. ალმასკომების მოსალოდნელი შემოსავალი არ იძლევა იმედს, რომ იმით დაიფარება ადგილობრივი მოთხოვნილებები. თბილისის, ფოთის და ბორჯომის გამოკლებით ყველა დანარჩენ ალმასკომების წლიური შემოსავალი 1923 წ. არ აღემატება 2,500 ათას მანეთს და ხარჯები კი 3,200 ათასზე მეტია, ე. ი. დეფიციტი უდრის 25 პროც. ასეთია დეფიციტი, როდესაც მაზრის მრავალი უდიდესი მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელი რჩება, მაგრამ ოდნავაც რომ მოვისურვოთ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მაშინ დეფიციტი ძალიან გაიზრდება, მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელია შემოსავლის მომატება. წინასწარი ცნობების მიხედვით 1924 წლის ადგილობრივ ბიუჯეტის დეფიციტი უნდა იქნეს არა ნაკლები ერთი მილიონი მანეთისა, რაც დაახლოვებით შეადგენს ბიუჯეტის 30 პროც.

ეს დეფიციტი უნდა დაეფაროს დოტაციამ. 1923 წ. ალმასკომები ღებულობენ დოტაციას, მაგრამ სამწუხაროთ ნამეტანი დაგვიანებით და ამიტომ ეს დახმარება მიზანს ვერ აღწევდა. გასულ წლის მეორე ნახევარში ხსენებულ ალმასკომებმა 405 ათასი მანეთის მაგიერ მიიღეს მიმდინარე წლის პირველ იანვრამდე ბონებით დაახლოვებით მხოლოდ 60 ჩერვონის მანეთი: დღემდე (13 მარტამდე) გასულ წლის დოტაციის ანგარიშში ალმასკომებს მიეცა სულ 125 ათას მანეთამდე, არ მიუღიათ 280 ათ. მან.; მიმდინარე წლის დოტაციის ანგარიშში ცენტრიდან ჯერ ფული მაზრებში არ გაგზავნილა.

ეს გარემოება დეფიციტიან ბიუჯეტის მქონე ალმასკომებს არ აძლევს საშუალებას იზრუნოს კულტურულ საქმეებზე, სათანადოთ მოაწყოს განათლების, ჯანმრთელობის, გზების და სხვა საქმეები და იქონიოს მტკიცე ადმინისტრატიული აპარატი. მოხელეები თვეობით არ ღებულობენ ჯამაგირს.

აი ამ გარემოებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რომ 1) ადმინისტრაციის აპარატი იყოს შესაფერად მტკიცე და მომქმედი და 2) მაზრის ძირითადი მოთხოვნილებები კმაყოფილდებოდეს. თუ ეს პირობები არაა დაცული, მაშინ სახელმწიფოს საფუძველი არ მაგრდება. ამიტომ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მიზანშეწონილია და აუცილებელი—ცენტრის ხარჯები შემოკლდეს და ამით ადგილობრივ საქმიანობას მტკიცე ნიადაგი მიეცეს.

დ. თ.

რადიო-დეპეშები

(„ზაკ როსტა“-ს ცნობები)

ბესარაბიის საკითხის გარშემო

ვენაში ჩავიდნენ რუსეთ-რუმინეთის დელეგაციები.

ვენაში გაიმართა რუმინეთის დელეგაციის საწინააღმდეგო მრავალრიცხოვანი საპროტესტო დემონსტრაცია.

რუმინეთის მთავრობა საშინელ ტერორს აწარმოებს ბესარაბიის მცხოვრებთა მიმართ.

კიევში და ოდესაში მყოფნი ბესარაბიელები მოითხოვენ ბესარაბიიდან რუმინეთის ჯარების გაყვანას.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში რუმინეთის მიერ ბესარაბიის შემოერთების რატიფიკაციის წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტებმა, სოციალისტებმა და რადიკალების ნაწილმა.

ოკუპანტების წინააღმდეგ

ბესარაბიის დაპყრობის რატიფიკაციის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 27 მარტი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში რუმინეთის მიერ ბესარაბიის დაპყრობის რატიფიკაციის წინააღმდეგ ხმა მისცეს: კომუნისტურმა და სოციალისტურმა ფრაქციებმა და 10 რადიკალმა.

კიევში მცხოვრებ ბესარაბიელების ნაკაზი.

კიევი. 27 მარტი. ბესარაბიელ ემიგრანტების მიტინგმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1500 კაცმა მიიღო ნაკაზი საბჭოთა დელეგაციისათვის ვენის კონფერენციაზე. ნაკაზი მოითხოვს ბესარაბიის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას რუმინეთის ჯარებისაგან და ბესარაბიის ხალხისათვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას. ბესარაბიის ინტერესების დაცვას ვენის კონფერენციაზე ნაკაზი ანდობს საბჭოთა კავშირის დელეგაციას.

მოლდაველების და ბესარაბიელების კრება

ხარკოვი. 27 მარტი. მოლდაველების და ბესარაბიელების მრავალრიცხოვანმა კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ბესარაბიის განთავისუფლებას რუმინეთის ოკუპაციისაგან, ციხეებში ჩაყრილი ბესარაბიელი მუშებისა და გლეხების განთავისუფლებას და რეკვიზიციით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

საპროტესტო დემონსტრაცია ვენაში.

ვენა. 25 მარტი. ვენაში აღმოსავლეთ-გალიციის და ბესარაბიის მრავალრიცხოვან ლტოლვილების მონაწილეობით გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია პოლონეთ-რუმინეთის ტერორის და რუმინეთის მიერ ბესარაბიის ლაკავების წინააღმდეგ. ორატორები მოითხოვდენ რუმინეთის ჯარების გაყვანას ბესარაბიიდან და პლებისციტს საბჭოთა კავშირთან ბესარაბიის შეერთების საკითხის შესახებ.

ვენაში მყოფ ბესარაბიელების დელეგაციამ გადასცა კრესტინსკის მემორანდუმი, რომელშიაც დოკუმენტების და მოწმეების ჩვენების მიხედვით აწერილია ბესარაბიაში გამეფებული ტერორის რეჟიმი. მემორანდუმი მოითხოვს რუმინეთის ჯარების გაყვანას ბესარაბიიდან, პლებისციტს და თავისუფლებისათვის მებრძოლ მუშების განთავისუფლებას ბესარაბიის ციხეებიდან.

რუმინეთისათვის არახელსაყრელი პირობები.

ვენა. 24 მარტი. რუმინეთის და რუსეთის დელეგაციები ვენის კონფერენციაზე უკვე ჩავიდენ ვენაში და მიღებულ იქნენ ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ.

კონფერენციის პროგრამა ჯერ არ არის შემუშავებული. გაზეთი „ადევერული“ აღნიშნავს, რომ ვენის კონფერენცია სულ სხვაგვარ პირობებში იხსნება, ვინემ გენუის და ლოზანას კონფერენციები, სახელდობრ კი რუმინეთისათვის ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში.

სტინესის გაზეთი ვენის კონფერენციის შესახებ.

ბერლინი. 25 მარტი. სტინესის „დეიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“-ი წინასწარმეტყველობს რუსეთ-რუმინეთის კონფერენციის უშედეგობას და ურჩევს გერმანიის მთავრობას გამოვიდეს შუამავლის როლში საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა და რუმინეთმა უნდა გადასწყვიტონ, სურთ თუ არა მათ გერმანიის შუამავლობა.

ვენის კონფერენცია

არაოფიციალური თათბირი

ვენა. 25 მარტი. საბჭოთა და რუმინეთის დელეგაციების მდივანთა ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ გაიმართა ორივე დელეგაციის თავმჯდომარეთა არაოფიციალური თათბირი. განხილული იქნენ ტეხნიკური საკითხები, დელეგაციის მუშაობასთან დაკავშირებულნი. თავმჯდომარეები შეთანხმდენ, შეხვდენ ერთმანეთს 26 მარტს არაოფიციალურ თათბირზე.

კონფერენციის გახსნას მოელიან 27 მარტს

კონფერენციას გახსნის ავსტრიის მთავრობის წარმომადგენელი, რის შემდეგ გამოქვეყნებული იქნება დელეგაციების განცხადებები.

რუმინეთს ეშინია ბესარაბიის საკითხის განხილვის.

ვენა. 25 მარტი. რუმინეთის გაზეთის „უნივერსალ“-ის ცნობით, რუმინეთის დელეგაციას მიცემული აქვს გარკვეული დირექტივები შეწყვიტოს მოლაპარაკება, თუ საბჭოთა დელეგაცია აღძრავს ფორმალურ საკითხს ბესარაბიის შესახებ.

ამ შემთხვევაში რუმინეთის დელეგაციის მეთაური რასკანუ წაიკითხავს ბუქარესტში წინასწარ შედგენილ ნოტას, რომელშიც ნათქვამია, რომ არ არის სასურველი მოლაპარაკება ბესარაბიის რუმინიასთან შეერთების შესახებ.

ნოტაში აღნიშნულია, რომ ბესარაბია რუმინეთს ნებაყოფლობით შეუერთდა, ვინაიდან ბესარაბიის მცხოვრებთა უმრავლესობა მეგობრულად არის განწყობილი რუმინეთისადმი. ეს შეერთება დადასტურებულია აგრეთვე საზავო ხელშეკრულებებით, ამიტომ რუმინეთი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუშვებს ამ საკითხის კვლავ განხილვას. ამავე დროს ნოტაში გამოთქმულია რუმინეთის მთავრობის სურვილი მიაღწიოს საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმებას სხვა სადაო საკითხებში.

საშინელი ტერორი ბესარაბიაში

ყაჩაღი ყაჩაღს უჭერს ხელს.

ვენა. 25 მარტი. იაპონიის ელჩმა ბუქარესტში „ადევერულ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იაპონია ამ დღეებში დაამტკიცებს ბესარაბიის რუმინეთთან შეერთებას.

მთავრობა „მუშაობს“.

ოდესა. 26 მარტი. ყოველდღე დნეპრის მხარის ქალაქებში მოდიან აყარებული ლტოლვილები ბესარაბიიდან. ლტოლვილები იუწყებიან, რომ ბესარაბიაში საშინელი ტერორი მძვინვარებს. ციხეები გავსებულია დატუსაღებულებით. რუმინეთის მთავრობას ეშინია აჯანყების და ამიტომ დატუსაღებულები ბესარაბიიდან რუმინეთში გადაჰყავთ. ბესარაბიაში გადმოსხმულია რუმინეთის ჯარები. არა მარტო რუსული, არამედ რუმინეთის პრესაც საშინელ ცენზურას ემორჩილება.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

უცხოეთიდან რუსეთში ბრუნდებიან ემიგრანტები.

რუსეთის პურზე ევროპაში დიდი მოთხოვნილებაა.

ანტვერპენში (ბელგია) მოეწყობა საბჭოთა კავშირის საზღვაო ბაზა.

ამერიკაში ჩერვონცები უცხოეთის სხვა ვალიუტაზე უფრო მეირად ფასობს.

23 მარტს ძალაში შევიდა რუსეთ-იტალიის სავაჭრო ხელშეკრულება.

დანიამ იცნო საბჭოთა კავშირი.

რუსეთ-ინგლისის კონფერენციის წინ

ამხ. ზინოვიევი რუსეთ-ინგლისის კონფერენციის შესახებ

ლენინგრადი, 27 მარტი. ინჟინრების საგუბერნიო ყრილობაზე ამხ. ზინოვიევმა მოხსენებაში ინგლისთან მომავალი მოლაპარაკების შესახებ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებას უმთავრესად სამეურნეო მნიშვნელობა ექნება, ლაპარაკი იქნება აგრეთვე სხვადასხვა ანაზღაურებათა შესახებ.

ინგლისის მთავრობა თავის პრეტენზიებს გამოხატავს ჯამით—11 ნახევარი მილიარდი ოქროს მანეთით. ამ თანხაში შედის სამხედრო ვალები პროცენტებით.

ჩვენი პრეტენზიები ინტერვენციის მოყენებული ზარალის გამო, კოლჩაკის მიერ გატაცებული ოქროსათვის, ამიერ-კავკასიაში მოყენებული ზარალის გამო გადააჭარბებენ ინგლისის პრეტენზიებს ალბათ 2 მილიარდი ოქროს მანეთით.

თუ ვერ მივიღებთ ამ ორ მილიარდს, მაშინ შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომ **ინგლისის მთავრობაც ვერ მიიღებს ჩვენგან სამხედრო ვალებს და პროცენტებს.**

სერიოზულია საკითხი ინგლისის მწარმოებელთა საკუთრების ნაციონალიზაციის შესახებ. ასეთი პრეტენზიები 115-ია, საერთო ჯამი 600 მილიონ მანეთამდე ოქროთი. **ამ საკითხში ინგლისელი მეწარმეები ვერავითარ დათმობას ვერ მიიღებენ.**

სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ მუშათა კლასი, რომელმაც აუარებელი მსხვერპლი გაიღო, რომელმაც სისხლი დაღვარა მრავალ ფრონტებზე თავისი უფლებების დასაცავად, დაიწყებს იმის დაბრუნებას, რაც მიიღო რევოლიუციის უფლებით.

აი რით იხელმძღვანელებს ჩვენი დელეგაცია ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკების დროს.

მეორე საკითხია—ვალდებულებანი, რომელსაც საბჭოთა მთავრობა თავის თავზე მიიღებს. მათ ის უსათუოდ პირნათლად შეასრულებს. თუ ინგლისის მთავრობა სერიოზულად მიუდგება კითხვას, მაშინ შესაძლებელია საქმიანი ურთიერთობა, რომელიც არ გვქონებია შვიდი უკანასკნელი წლის განმავლობაში.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 67 (929).

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 28 მარტს,
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგი წამოაყენონ თვით უჯრედებმა.
თბილისის კომიტეტის მდივანი: **რუხაძე.**

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ შაბათს ა. წ. 29-მარტს საღამოს 6 საათზე აღმასკომის დარბაზში დანიშნულია თბილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1) აღმასკომის 1924 წლის ბიუჯეტის განხილვა.
2) მიმდინარე საკითხები.

აღმასკომის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი

სოციალისტურ სამშობლოში ბრუნდებიან

„დუხობორების“ ჩამოსვლა.

მოსკოვი. 25 მარტი. მოსკოვში ჩამოვიდა ემიგრანტების რამდენიმე ჯგუფი ამერიკიდან, კანადიდან და შვეიცარიიდან. ემიგრანტები მიემგზავრებიან სამხრეთის და ციმბირის მიწათ-მოქმედების კომუნებში. კანადიდან ჩამოსულმა „დუხობორების“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ **8000 დუხობორს განზრახული აქვთ გადასახლდნენ კანადიდან რუსეთში.** მათ აქვთ ტრაქტორების საკმაო რაოდენობა და დაახლოვებით 2 მილ. მან. ოქრ. კანადის დუხობორები ფიქრობენ აწარმოვონ რუსეთში სანიმუშო სასოფლო მეურნეობა.

შეერთებულ შტატებიდან და შვეიცარიიდან ჩამოსული ემიგრანტების სიტყვით, ამ ქვეყნებში ტარდება გაძლიერებული კამპანია საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოთ. ამ ქვეყნების მუშები აღარ უჯერიან ბურჟუაზიულ პრესის ცნობებს საბჭოთა კავშირის ცხოვრების შესახებ. ყველგან ევროპასა და ამერიკაში დაარსებულია ლენინის სახელობის ფონდები. მშრომელთა ლტოლვა საბჭოთა კავშირისაკენ დღითი დღე იზრდება.

ურთიერთობა ინგლისთან

მოსკოვში ელჩის დანიშვნის საკითხის გარშემო.

ლონდონი. 26 მარტი. **ჩიჩერინის განცხადება, რომელიც უარყოფს ხმებს, თითქო საბჭოთა მთავრობას ჰქონდეს რაიმე საწინააღმდეგო ო'გრედის მოსკოვში ელჩად დანიშვნის წინააღმდეგ, მოთავსებულია ყველა გაზეთებში უკომენტაროდ.**

მხოლოდ „მანჩესტერ გარდიენ“ სწერს: „თუმცა უსათუოდ სასურველია, რომ ინგლისის ელჩი მოსკოვში სასურველი იყოს საბჭოთა მთავრობისთვის, მაგრამ ჩიჩერინის პოზიციას ამ საკითხში არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ინგლისის ელჩის თანამდებობა მოსკოვში ამჟამად ინგლისის დიპლომატიურ თანამდებობათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და პასუხსაგები. მოსკოვში ელჩის დანიშვნის დროს, მაკდონალდმა ანგარიში უნდა გაუწიოს არა ვისიმე პირად სიმპატიებს, არამედ ხოლოდ და მხოლოდ კანდიდატების ამ თანამდებობაზე.

გრძნობენ, რომ მუქარით ვერაფერს გახდებიან.

ლონდონი. 24 მარტი. „ფინანშიელ ტაიმს“ სპეციალურ წერილს უძღვნის იმ უკმაყოფილებას, რომელიც მოსკოვის პრესაში გამოიწვია ლონდონის გაზეთების წერილმა კრედიტებისა და ვალების შესახებ. გაზეთი სწერს: „საშიროა, რომ საზოგადოებრივი მოღვაწეები ერიდონ ისეთ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელთაც შეუძლიათ გაუგებრობის გამოწვევა. ინგლისის ფინანსისტები და მრეწველები ერთი სურვილით არიან გამსჭვალული—რომ ინგლის-რუსეთის კონფერენცია წარმატებით დამთავრდეს და შეიქნეს პირობები ორივე ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობისათვის“.

დამოკიდებულება შვეციასთან

რუსეთ-შვეციის ხელშეკრულება სასარგებლოა ორივე მხარისათვის

მოსკოვი. 26 მარტი. „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ლიტვინოვმა, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ, განაცხადა, რომ შვეციის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობა არავითარ პირობებთან არ არის დაკავშირებული. საკითხი ურთიერთ პრეტენზიების შესახებ ღიათ რჩება, რაც დადასტურებულია ორივე მხარეს მიერ ხელმოწერილი სპეციალური დეკლარაციით. სავაჭრო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა არავითარ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე. სავაჭრო ხელშეკრულება ხელსაყრელია შვეციისათვის მხოლოდ იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც გვცნობენ ჩვენ შვეციის შემდეგ. შვეცია ამიტომ ვერ მოითხოვს იმ უფლებებს და უპირატესობათ, რომლებიც ჩვენ მივეცით იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც საბჭოთა კავშირი იცნენს შვეციაზე ადრე 15 თებერვლამდი.

მაგრამ ხელშეკრულება ფრიად ხელსაყრელია ორივე მხარისათვის (ეჭვს გარეშეა, რომ შვეციისა და ნორვეგიის შემდეგ დანიაც იცნობს საბჭოთა კავშირს იურიდიულად ახლო ხანში.

რუსეთ-შვეციის დიპლომატიური წარმომადგენლები

სტოკჰოლმი. 24 მარტი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. ოსინსკიმ რწმუნებების სიგელი ჩააბარა შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრს.

შვეციის რწმუნებულად მოსკოვში დაინიშნა გაილენშტამი.

რუსეთ-ჩინეთის საკითხი

ჩინეთის მთავრობა ცდილობს თავის გამართლებას.

პეკინი. 25 მარტი. მარშალმა უ-პეი-ფუმ გაუგზავნა კაბინეტის თავმჯდომარეს მესამე დეპეშა, რომელშიაც მკაცრ ფორმებში აკრიტიკებს მთავრობის მიერ უარის თქმას რუსეთ-ჩინეთის შეთანხმების დამტკიცებაზე. **უ-პეი-ფუ პასუხისმგებლობას საბჭოთა კავშირთან შეთანხმების ჩაშლისათვის აკისრებს ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს და მოითხოვს შეთანხმებაზე დაუყოვნებლივ ხელისმოწერას.**

ცდილობს რა თავის მართლებას, პეკინის მთავრობა ცირკულიარულ დეპეშაში აღნიშნავს, რომ შეთანხმებაში მიუღებელია 3 მუხლი. კაბინეტი მოითხოვს რუსეთ-მონღოლეთის ყველა ხელშეკრულებათა გაუქმებას და იმ მუხლის შეცვლას, რომლითაც საბჭოთა კავშირს უნდა გადაეცეს მართლმადიდებელ სამისიონერო ეკლესიის ქონება.

ხაბაზი თმით მოათრიეს.

პეკინი. 25 მარტი. ვან-ჩენ-ტინგი, რომელიც განთავისუფლებულ იქნა თავის თანამდებობიდან რუსეთ-ჩინეთის კომისიაში, ცირკულიარულ დეპეშაში პარლამენტს, საგანმანათლებლო ასოციაციების, პროვინციალურ საბჭოების, სავაჭრო პალატების და გაზეთების სახელზე აღნიშნავს, რომ ის პერიოდიულათ მოხსენებას უკეთებდა მინისტრთა საბჭოს კარახანთან მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ. მათ მიერ შედგენილი და ხელმოწერილი წინასწარი შეთანხმების **გეგმა მოწონებული იყო კაბინეტის მიერ, რომელმაც მას მისცა უფლება არა თუ ეწარმოებია მოლაპარაკება, არამედ აგრეთვე ხელიც მოეწერა შეთანხმებაზე.**

პარლამენტი კაბინეტის პოზიციის წინააღმდეგაა.

პეკინი. 25 მარტი. პარლამენტმა მოსთხოვა პრემიერ-მინისტრს განმარტებები შექმნილი კრიზისის გამო. პარლამენტი აწარმოებს კაბინეტის საწინააღმდეგო კამპანიას. თვით პარლამენტში მოხდა გათიშვა რუსეთ-ჩინეთის საკითხის გამო.

ჩვენ და სპარსეთი

ამხ. შუმიაცკის განცხადება.

ბაქო. 25 მარტი. ბაქოში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში ამხ. შუმიაცკი, რომელმაც პრესის თანამშრომლებს განუცხადა შემდეგი: **„რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულება დამტკიცებულია ორივე მთავრობის წარმომადგენელთა ხელის მოწერით. შემჩნეულია ვაჭრობის ზრდა ჩვენ ჩრდილო-სპარსეთის საზღვარზე.** სპარსეთში დაარსებულია მთელი რიგი რუსეთ-სპარსეთის შერეულ საზოგადოებათა, რომლებშიაც საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილია 7 მილ. მან. ოქროთი, სპარსეთის ვაჭრებისაგან - 1 მილიონი. რუსეთ-სპარსეთის ბანკი რამდენიმე თვეში ძალიან გაიზარდა და შეიძინა დიდი კლიენტურა ადგილობრივ ვაჭრებისაგან. თავის მოღვაწეობის 6-ე თვეზე მან გახსნა განყოფილება რეშტში, თავრიზში და მეშედში და სააგენტოები ენზელში და მაზანდარანში. ამის გამო ჩერვონეცის კურსი განმტკიცდა და კიდეც გაუსწრო ბაქოში არსებულ კურსს. ეხლა ჩერვონეცის კურსი გაცილებით მეტია, ვიდრე სტერლინგის. დოლარი, ამერიკულ ბანკების უქონლობის გამო, გაცილებით ნაკლები ღირს.

სავაჭრო ხელშეკრულების შემდეგ დაიწყება საბაჟო კონვენციის განხილვა, რომლის მიხედვითაც უკვე შემოღებულია რუსეთ-სპარსეთის საექსპორტო-საიმპორტო ვაჭრობაში ახალი საბაჟო გადასახადები“.

ამხ. შუმიაცკმა გამოსთქვა იმედი, რომ ეს შეთანხმება ახლო მომავალში იქნება მიღწეული—ამის გარანტია საბჭოთა მთავრობის ლტოლვა მიღწეულ იქნეს ორივე ქვეყნისათვის ხელსაყრელი საკონვენციო საბაჟო შეთანხმება.

იაპონიასთან მოლაპარაკების დაწყების შესახებ

იაპონიის პრემიერი რუსეთ-იაპონიის დამოკიდებულების შესახებ.

ვლადივოსტოკი. 26 მარტი. ტოკიოდან მიღებულ ცნობების თანახმათ, იაპონიის პრემიერმა კიურში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „მეტათ ვწუხვარ, რომ რუსეთ იაპონიის დამოკიდებულება გართულდა. აქამდის იაპონიის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ დაამყარებდა საბჭოთა კავშირთან მეგობრულ დამოკიდებულებას სათანადო შეთანხმების დადებით ამ ორ სახელმწიფოს შორის. საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობა არ არის პირველხარისხოვანი საკითხი: **პირველყოვლისა გადაწყვეტილი უნდა იქნეს საკითხი მეთევზეობისა, საფოსტო დამოკიდებულებისა და იაპონიის ელჩის ცნობის შესახებ. იაპონიის მთავრობა წინააღმდეგი არ არის იმის, რომ დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის იურიდიული ცნობის შესახებ.**

ჩვენი პური უცხოეთში

ჩვენი პურის ღირსება.

მოსკოვი. 26 მარტი. პურის საექსპორტო სამმართველოს დირექტორ-განმანაწილებელმა პრიგარინმა, რომელიც ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ჩვენი პურის გატანამ საზღვარ-გარეთ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაზე; ჩვენ მოკლე ხნის განმავლობაში ისეთ შედეგებს მივაღწიეთ, რომელთა მიღება შეიძლებოდა მხოლოდ რამოდენიმე წლის დაუღალავ და მუყაით შრომის შემდეგ. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ განსაკუთრებული სისწორით ვასრულებდით ყველა კონტრაქტებს. რუსეთის ჭვავი როტერდამის ბირჟაზე ფასობს 3 გულდენი ერთი ტონნა; ჩვენი ჭვავი მეტი ღირს, ვიდრე ამერიკული. პურის ექსპორტის კომპანიის დასაწყისში პურზე ჩვენ ვაწესებდით ისეთ ფასებს, როგორიც არსებობდა ამერიკულ პურზე, დროგამოშვებით ამერიკელებზე ნაკლებადაც კი ვყიდიდით. მაგრამ, იანვრის შემდეგ, როდესაც გამოირკვა ბაზრის მნიშვნელოვანი ტევადობა, ჩვენი პურის ფასმა იწყო ზრდა და ამ ჟამათ ჩვენი პური 2 პროც. მეტი ღირს, ვიდრე ამერიკული პური.

მიმდინარე წელში საექსპორტო გეგმა შესრულებული იქნება 90 პრ. ფულის რეფორმამ, რომელიც მომავალში უეჭველათ დადებით გავლენას მოახდენს პურის ექსპორტზე, რამოდენიმეთ შეასუსტა ეს ექსპორტი; პურის გატანის საქმე ეხლა რამოდენიმეთ შეფერხებულია ფულის ნიშნების უქონლობის გამო. ამხ. პრიგარინმა განაცხადა: „აუცილებელია ბანკნოტების და ხაზინის ბილეთების ემისიის გაფართოება, რაც სრულიად უმტკივნეულოთ შეიძლება განხორციელდეს; ხმარებაში გამოშვებული ფულის რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნილებას“.

ჩინეთი

ჩინეთის სტუდენტების მოთხოვნილება

პეკინი. 25 მარტი. ჩინეთის სტუდენტების კავშირმა მასწავლებელთა კავშირთა და სხვა ორგანიზაციებთან ერთად მოიწვია სპეციალური კონფერენცია, რომელმაც დაადგინა მოსთხოვოს მთავრობას საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობა მოლაპარაკების გაუჭინურებლად. დემონსტრაცია, რომელიც გაიმართა ამ რეზოლიუციის სასარგებლოდ, გაჰფანტა პოლიციამ.

ლატვია

ლატვიის ელჩი საბჭოთა ხელისუფლების შესახებ.

რიგა. 25 მარტი. ლატვიის ელჩმა მოსკოვში ოზოლსმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლება პოლიტიკურად და ეკონომიურად გამაგრდა. უცხოეთის პრესის ცნობა პარტიაში მომხდარი განხეთქილების შესახებ თავიდან ბოლომდი სიყალბეა.

ლენინის სიკვდილმა,—რომელიც დიდი დანაკლისია კომუნისტური პარტიისათვის, კიდევ უფრო გაამაგრა საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა მთავრობა ენერგიულად შეუდგა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის აღდგენას, ფინანსებას მოწესრიგებას.

ფინანსიური რეფორმა მტკიცედ ტარდება. ამის შედეგია ჩერვონეცის კურსის განმტკიცება, მისი კურსის აწევა.

ბელგია

ანტვერპენში საბჭოთა საზღვაო ბაზის შექმნის პროექტი.

პარიზი. 25 მარტი. ბელგიის პრესა იუწყება, რომ ანტვერპენის ბურგომისტრმა და დეპუტატთა პალატის წევრმა გამართეს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის მთავრობასთან ანტვერპენში საბჭოთა საზღვაო ბაზის შექმნის შესახებ.

საფრანგეთი

საფრანგეთის პოლიტიკა რუმინეთის საკითხში შემცდარია.

პარიზი. 25 მარტი. გაზეთი „პოპულერი“ სწერს: „პუანკარეს განცხადება დეპუტატთა პალატაში იმის შესახებ, რომ რუსეთმა სეპარატიული ზავის ჩამოგდებით, უღალატა მოკავშირეებს, არ არის სამართლიანი, ვინაიდან რუმინეთი აგრეთვე გამოვიდა სეპარატიულად და ნაკლები ზარალი მოუვიდა მას, ვიდრე რუსეთს, რომელიც მოკავშირეებს ეხმარებოდა. გარდა ამისა, საფრანგეთმა კონტრრევოლიუციისათვის ხელისშეწყობით და ვრანგელის ცნობით თავის მხრივ უღალატა რუსეთს. საფრანგეთი სთვლის რუსეთის მდგომარეობას არა საკმაოდ მტკიცეთ, და ფიქრობს, რომ მას შეუძლია განამტკიცოს თავისი მონაპოვარი რუსეთის ხარჯზე. მაგრამ იგი სცდება“.

ოსმალეთი

ოსმალეთის ელჩი ამხ. ჩიჩერინთან.

მოსკოვი, 26 მარტი. ოსმალეთის საგანგებო ელჩი ჭუხტარ-ბეი მიიღო ამხ. ჩიჩერინმა.

შვეიცარია

არ შეიძლება საბჭოთა კავშირის არცნობა.

მოსკოვი, 25 მარტი. საბჭოთა კავშირის ცნობას მთელ რიგ სახელმწიფოების მიერ გაცხოველებით იხილავს შვეიცარიის პრესა.

„ნიეუ ციურიხერ ცაიტუნგი მწუხარებას გამოსთქვამს ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გამო. მაგრამ აღიარებს, რომ დიდი სახელმწიფოები იძულებული არიან იცნონ საბჭოთა კავშირი, რადგან არც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხის განხილვა არ შეიძლება საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე.

გაზეთი „სიუის“ სვამს კითხვას უნდა იცნოს თუ არა შვეიცარიამ საბჭოთა კავშირი და აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობას მხარს უჭერს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი, მაგრამ გაზეთი საჭიროდ ცნობს „დაცდის პოლიტიკის“ წარმოებას.

ჰოლანდია

დაიბიმანიზმი—ჩაიბიანი.

ბერლინი. 25 მარტი. ჰოლანდიაში სოციალ-დემოკრატების ლიდერმა ტრელსტრამ შეიტანა წინადადება განხილული იქნას საკითხი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. წინადადებას ხმა მისცეს სოციალ-დემოკრატებმა, კომუნისტებმა და დემოკრატებმა. პარლამენტმა 63 ხმის უმრავლესობით 24 წინააღმდეგ უარყო ეს წინადადება.

საგარეო საქმეთა მინისტრმა კარნებეკმა განაცხადა, რომ ვერავითარ განმარტებას ვერ მისცემს პარლამენტს, რადგან მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან გრძელდება.

პოლონეთი

გეცი და გონიერი პოლიტიკა.

ვარშავა. 26 მარტი. ცნობამ საბჭოთა ბელორუსიის საზღვრების გაფართოების შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში. „კურიერ პორანნი“ აღნიშნავს, რომ იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირის პოლიტიკა განსაკუთრებით შორსმჭვრეტელია, პოლონეთის პოლიტიკა თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედავს. საბჭოთა მთავრობის შორსმჭვრეტელი პოლიტიკის წყალობით ყველაზე მეტად ნაციონალურად განწყობილი ბელორუსები და უკრაინელები ბოლშევიკებისაკენ იხრებიან. პოლონეთის მთავრობამ, რომელმაც მოქალაქეობრივი უფლებები წაართვა ეროვნულ უმცირესობებს, ხელი შეუწყო მათ გაერთიანებას ერთიან ბლოკში, თუმცა მათი ინტერესები ხშირად ერთნაირი არ არის.

ფულის რეფორმის გარშემო

კერძო შუამავლების გარეშე.

მოსკოვი. 26 მარტი. საბჭოთა რუსეთის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ტრესტსა და მომხმარებელთა შორის კერძო შუამავლების განდევნას და შეამციროს მოგების რაოდენობა სახელმწიფო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო წარმოებებში. პრეზიდიუმმა დაადგინა შეიყვანოს სახელმწიფო მრეწველობის სამმართველოში პროფკავშირთა წარმომადგენელი.

საწვრილმანო ბაზრობა მოსკოვში.

მოსკოვი. 26 მარტი. საფეიქრო ტრესტების თათბირმა საფეიქრო სინდიკატის სავაჭრო განყოფილების მონაწილეობით განიხილა საკითხი საფეიქრო საქონლის საწვრილმანო გასაღების შესახებ. გამოირკვა, რომ საფეიქრო საქონლით კერძო მოვაჭრეთა უმრავლესობა იძენს საქონელს არა უშუალოდ სახელმწიფო ორგანოებისაგან, არამედ, უმთავრესად კერძო ბითუმად მოვაჭრეთაგან, რაც ძალიან აძვირებს საქონელს. თათბირმა დაადგინა, რომ საჭიროა კურსის აღება წვრილ მყიდველებზე, კერძო ბითუმად მოვაჭრეთათვის კრედიტის შემცირება და მათზე საქონლის ნაღდ ფულზე გაყიდვა.

მზადება გლეხთა სესხის რეალიზაციისათვის.

მოსკოვი. 26 მარტი. ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალიუტო სამმართველო აწარმოებს წინასწარ მუშაობას გლეხთა სესხის რეალიზაციის დასაწყებად. ადგილებზე განზრახულია სპეციალურ კომისიების შედგენა. სესხის რეალიზაცია დაიწყება ახლო მომავალში დროებითი ქვითარებით, ვინაიდან ობლიგაციები შეტანილი იქნება სახელმწიფო ნიშნების ფაბრიკებიდან მხოლოდ აპრილის შუა რიცხვებში. მიღებულია ზომები, რათა სესხი გავრცელდეს უშუალოდ გლეხებზე და არ გაიაროს შუამავლების ხელში.

ჩვენი მიღწევანი შვიდი წლის განმავლობაში

ამხ. ზინოვიევის მოხსენება

მოსკოვი. 26 მარტი. რუსეთის კომპარტიის მოსკოვის კომიტეტში ამხ. ზინოვიევმა მოხსენება გააკეთა ჩვენი მუშაობის შედეგების შესახებ 7 წლის განმავლობაში.

ინგლის-რუსეთის კონფერენცია.

საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკას შედეგათ მოჰყვა საბჭოთა კავშირის ცნობა მთელ რიგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიერ აპრილში დაიწყება მოლაპარაკება ლონდონში. **არავითარ სერიოზულ მატერიალურ დათმობაზე ჩვენ არ წავალთ.** მთავარი საკითხი კონფერენციაზე იქნება სამეურნეო საკითხი. ჩვენ გვიყენებენ 11 მილიარდ ოქროს მანეთის ანგარიშს ჩვენ წარვადგენთ ჩვენს ანგარიშს. **ინგლისის მთავრობამ, რომელიც ფორმალურათ პროფკავშირების მთავრობაა, არ დაუშვა მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებათ ინგლისის პროფკავშირების წარმომადგენლები. საბჭოთა მთავრობამ თავის დელეგაციაში შეიყვანა პროფკავშირების 5 წარმომადგენელი.** მოლაპარაკება იწარმოებს ჩვენთვის ხელსაყრელ პირობებში.

ფულის რეფორმა.

მეორე შედეგია—ფულის რეფორმა. დასაწყისი სავსებით დამაკმაყოფილებელია. **ჩვენი ჩერვონეცი სიმტკიცის მხრივ უდრის ინგლისის გირვანქა სტერლინგს.** ეს დამამტკიცებელია იმის, რომ ჩვენ გამოვედით ფართო გზაზე.

პარტიაში ახალი წევრების მიღება

მესამე შედეგია—პარტიაში ახალი წევრების მიღება. პარტკონფერენციამ გადაწყვიტა მიიღოს პარტიაში 100,000 კაცი. შემოტანილია 200,000 მეტი განცხადება.

ამხ. ზინოვიევის აზრით, **აუცილებელია მიღებული იქნეს პარტიაში 200,000 კაცი,** რადგან მოძრაობა გრძელდება. თუ ჩვენ პარტიაში შემოსვლის მსურველებს მივიღებთ შერჩევით, მაშინ თამამათ შეიძლება მიღებული იქნეს პარტიაში 300,000 კაცი. ჩვენთან მოდიან ეხლა ყველა ჰასაკის მუშები.

გავხდით რა სახელმწიფო პარტიათ, ჩვენ არ ვართ ჩვეულებრივი პარტია ამ სიტყვის ძველი მნიშვნელობით. ჩვენ ვიღებთ ახალ წევრებს და მათი კანდიდატურის განხილვაში ფართო მონაწილეობას იღებენ უპარტიო მუშები.

ვერც ერთი პარტია ვერ შესძლებს ამას. ყველა პარტიები თავპირს ამტვრევენ ერთმანეთს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი წევრები მოაგროვონ. მხოლოდ ერთადერთი კომპარტია სცდილობს იმას, რომ რაც შეიძლება ცოტა, მაგრამ საიმედო წევრები ჰყავდეს.

ჩვენი პარტიის ცხოვრება.

თვითეული კომპარტიის ცხოვრებაში გასარჩევია ოთხი ხანა. პირველი—**კომპარტიის ჩასახვა,** როდესაც ის ეწყობა. ჩვენი კომპარტიის დაბადების პროცესი დამთავრდა 1918 წელში.

მეორე ხანა—ეს არის **ბრძოლა გავლენის გასაძლიერებლად** მუშების უმრავლესობაზე. (გამოტოვებულია..) კომპარტია იწყებს ბრძოლას უმრავლესობის დასაპყრობათ.

მესამე **ხანა—ძალაუფლების დაპყრობა კომპარტიის მიერ.** ძალაუფლება ჩვენ მოვიპოვეთ იმით,—რომ გავლენა გვქონდა მუშების უმრავლესობაზე. რევოლიუციის მძიმე მომენტებში ჩვენს ორგანიზაციაში შედიოდა მუშების უმცირესობა. დაიწყო დიდი გარდამავალი ხანა, რომლის განმავლობაში ყველა მუშები შევლენ კომპარტიაში.

პარტიაში ახალი წევრების მიღების მნიშვნელობა.

პარტიაში ახალი წევრების მიღება დამამტკიცებელია იმის, რომ გარდამავალი ხანა მთავრდება და იწყება მეოთხე ხანა, როდესაც **მუშათა კლასი და მუშათა პარტია შეადგენენ ერთ ორგანიზაციულ ერთეულს.** სამი წლის შემდეგ ჩვენს პარტიაში იქნება ერთი მილიონი მუშა. ასე უნდა შევაფასოთ ჩვენ ახალი წევრების მიღება პარტიაში. ეს დიდი ფაქტი საუკეთესო პასუხი იქნება იმ შიშზე, რომელიც დაიბადა დისკუსიის წარმოების პერიოდში. პარტია იმკის იმას, რაც დათესილი იყო მთელი რიგ წლების განმავლობაში. მოსავალის ასეთი სიუხვე აიხსნება პარტიის ძირითადი პოლიტიკის სისწორით.

უდიდესი როლი ითამაშა ვლადიმერ ილიჩის სიკვდილმა. მუშები სერიოზულათ დაფიქრდენ და გაიგეს გადამწყვეტი მომენტის მოახლოვება პარტიისა და საბჭოთა კავშირისათვის. ამან დააჩქარა პარტიაში შესვლის პროცესი [illegible] — **პარტიის ახალი [illegible] წევრების აღზრდა.**

— კომპარტიის მუშაობისათვის შედეგების გაკეთების დროს, ჩვენ არ უნდა გადავაჭარბოთ ამ შედეგის მნიშვნელობას. კომპარტიის წინაშე სდგას ამოცანა: შექმნას ამ ახალ ორასი ათას კომუნისტებიდან მუშაობისათვის გამოსადეგი ხალხი. ცეკას პოლიტბიურომ გადასწყვიტა ნება დართოს ახალ ამხანაგებს მონაწილეობა მიიღონ პარტიული ყრილობის არჩევნებში; ყრილობის მოწვევა განზრახულია 20 მაისისათვის. წარმომადგენლობის ნორმა 1,000 დაყვანილია 500; ეს გამოწვეულია იმ მიზნით, რომ ყრილობას უკეთესი ინფორმაცია იქნეს იმის შესახებ თუ რა ხდება ადგილებზე. პარტიის ახალ წევრებს შორის არიან მრავალი ისეთი ამხანაგები, რომელთაც შეუძლიათ ნაყოფიერი მუშაობა აწარმოონ სხვადასხვა დარგებში. მათ საშუალება უნდა მიეცეს, რომ ფართოთ გაშალონ თავისი ნიჭი. ჩვენ უნდა ჩავაბათ ჩვენს მუშაობაში სოფლის მასწავლებელი, რომელიც ახლოს სდგას მასებთან, ჩვენთვის აუცილებელია აგრეთვე არა საიმედო ელემენტებისაგან განთავისუფლება და როდესაც ეს დიდი სამუშაო შესრულებული იქნება, მაშინ ჩვენ შეგვეძლება თამამათ ვსთქვათ, რომ ჩვენი პარტია მტკიცე საძირკველზე სდგას“.

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილება მტკიცე პარიტეტების შესახებ დადგენილებაში ზოგიერთ ცვლილებების შეტანად

მოსკოვი. 26 მარტი. 1924 წლის 1 მარტის დადგენილების მეორე მუხლის შესაცვლელად ხელფასის ოქროს ვალიუტაზე გადასაყვან მტკიცე პარიტეტების შესახებ (სრულიად რუსეთის ცაკის „იზვესტია“ 1924 წ. 2 მარტის ნომერი) საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭო ადგენს:

მიეწეროს მეორე სარტყელს ნიჟნი ნოვგოროდი გუბერნიით და მესამე სარტყელს—ეკატერინბურგი გუბერნიით, ბრიანსკი გუბერნიით, ხარკოვის გუბერნია და ცარიცინი.

საბჭ. კავშ. შრომის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ—ცურიუპა.

საბჭ. კავშ. შრ. და თავდ. საბჭ. მდივანი—ფოტიევა.

მოსკოვი—კრემლი 1924.
25 მარტი.

კერძო ბაზარმა დასწია ფასები.

მოსკოვი. 27 მარტი. **მთელს უკრაინაში კერძო ბაზარმა დასწია ფასები. ფასების დაწევაზე გავლენა მოახდინა კოოპერაციის და სახელმწიფო ორგანოების მიერ საქონლის გაიაფებამ. პური გაიაფდა 25 პრ.** დონის აუზში პირველი მოთხოვნილების საგნების ფასები დაკლებულია 30 პროც. კიევში—25 პროც., ეკატერინოსლავში—18 პრ. საქონლის ნაკლებობა არსად არ არის საგრძნობი.

ფასების დაწევა ლითონებზე.

მოსკოვი. 27 აპრილი. **პირველი აპრილიდან ლითონის ფასები დაკლებული იქნება** 15 პროც. იმ ლითონის ფასები კი, რომელიც უმთავრესად სოფლად მიდის, კიდევ უფრო მეტად იქნება შემცირებული. მაგალითად, ლურსმანის ფასები სამხრეთ ურალში 6 მანეთიდან დაყვანილი იქნება 4 მან. 50 კაპ. ერთი ფუთი.

ფასების დაწევა დონეცის ნახშირზე.

მოსკოვი 27 მარტი. **შინაურ ვაჭრობის კომისიამ დაამტკიცა დონეცის ნახშირზე ფასების 70 კაპეიკიდან 51 კაპეიკამდე დაწევა.**

ფასების დაწევა მანუფაქტურაზე.

მოსკოვი. 27 მარტი. სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის თათბირმა დაადგინა მიიღოს სასწრაფო ზომები სინდიკატის პროვინციალურ განყოფილებათათვის საკმაო საქონლის მისაწოდებლად, რათა საფეიქრო საქონელზე ფასების დაწევის შედეგები ერთნაირი იყოს საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

ხურდა ფულის ნაკლებობის ლიკვიდაცია

მოსკოვი. 27 მარტი. მრავალ ადგილებიდან მოდის ცნობები ხურდა ფულის ნაკლებობის შესახებ, რაც ერთგვარ დაბრკოლებებს ქმნის.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი თვლის რა, რომ კრიზისი აუცილებელია გარდამავალ პერიოდში, ენერგიულ ზომებს იღებს მისი ლიკვიდაციისათვის. ხურდა ფულის მარაგი ადგილობრივ გაორკეცებულია, ახლო ხანში კი ეს მარაგი გასამკეცებული იქნება.

აპრილში გამოშვებული იქნება 36 მილიონის ვერცხლის ფული და სახაზინო ნიშნები.

გაღატაკებულ გერმანიაში და პოლონეთში

სიმშილი და სიღარიბე.

ხარკოვი. 27 მარტი. საინჟენერო ტრესტის თავმჯდომარე მატროზოვი, რომელიც დაბრუნდა მოგზაურობიდან პოლონეთში და გერმანიაში, იუწყება, რომ პოლონეთში სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრება სრულიად მოკვდა. მრავალ ქარხნებში მუშაობა კვირაში სამი ოთხი დღის განმავლობაში სწარმოებს. შრომის ხელფასი ძლიერ დაბალია: მაგალითად 1000 ფუთი მადნის გადატვირთვაში მუშებს მისცეს ჯილდოთ პოლონური მარკები იმდენი, რაც ჩვენი ფულით 1 ჩერვონულ მანეთს უდრის.

უმუშევრობა ძლიერ დიდია, განსაკუთრებით ქალებს შორის. აურებელი მათხოვრები დაძრწის ქუჩებში პროსტიტუციამ დიდ ქალაქებში მასიური ხასიათი მიიღო.

ბერლინში 100.000 მუშა ცხოვრობს ქალაქის განაპირა უბნებში საშინელ ქოხმახებში. მცხოვრებლები სუროგატებით იკვებებიან.

მატროზოვს მრავალი ინჟენერი და ტეხნიკი მიმართავდა თხოვნით წაეყვანა ისინი საბჭოთა კავშირში სამუშაოდ.

რა ხდება გერმანიაში

მხოლოდ კლასობრივი ბრძოლა გადასწყვეტს პროლეტარიატის ბედს.

ბერლინი. 25 მარტი. გერმანიის კომპარტიის ბრანდენბურგის ორგანიზაციის საოლქო პარტიეტაგის მოწოდებაში ნათქვამია, რომ არა საპარლამენტო არჩევნები, არამედ კლასობრივი ბრძოლა გადასწყვეტს პროლეტარიატის ბედს. როცა პროლეტარიატის ორი მთავარი მტერი—სოციალ-დემოკრატიული და ტევტონური პარტია დამარცხებული იქნება, მაშინ დამარცხებული იქნება ბურჟუაზიაც. ამის მიღწევა შეიძლება გადამწყვეტი ბრძოლით.

პარტიეტაგი მოუწოდებს მუშებს ხმა მისცენ კომუნისტებს. ვინაიდან თვითეული კომუნისტი დეპუტატი იმუშავებს პროლეტარული რევოლიუციის სასარგებლოდ, საბჭოთა სახელმწიფოს შესაქმნელად და პროლეტარიატის დასამყარებლად ბურჟუაზიული რესპუბლიკის ნაცვლად.

გერმანიის კომპარტიის მიზანია—საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა.

„სამშობლოს“ მოღალატე.

ბერლინი. 25 მარტი. გამოქვეყნებულია ბრძანება კლარა ცეტკინის დაპატიმრების შესახებ; მას ბრალდება „სამშობლოს“ ღალატი.

ბრძოლა სამუშაო დროისა და ხელფასისათვის.

ბერლინი. 25 მარტი. გერმანიის ქიმიურ წარმოებათა მუშები კატეგორიულად მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას და 8 საათის სამუშაო დღის დაწესებას. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან გაფიცვით.

ჰამბურგის და ბრემენის ნავთსადგურის მუშები, შრომის მინისტრის შუამავლობისა და პროფკავშირების მოთხოვნილების მიუხედავად, უარს ამბობენ მუშაობის განახლებაზე. მუშაობს მუშების მხოლოდ მეოთხედი ნაწილი, რომელიც იმყოფება სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ.

გერმანიის პროლეტარიატის აუტანელი მდგომარეობა.

მოსკოვი. 27 მარტი. გერმანიის მუშათა დახმარების ლიგის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე გამოირკვა, რომ გერმანიის პროლეტარიატი, მიუხედავად მარკის ნაწილობრივი სტაბილიზაციისა, წინანდებურად აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. კვების პროდუქტების სიძვირე და უმუშევრობა იზრდება.

მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტს აქვს 55 სასადილო, 4 საბავშვო სახლი და ყოველდღიურად არიგებს 25,000 სადილს.

რესპუბლიკის გამოცხადება საბერძნეთში

მეფე გადაყენებულია.

ლონდონი. 26 მარტი. გუშინ პაპანასტასიუმ ათენის ნაციონალ კრებაში გამოაქვეყნა რეზოლიუცია მონარქიის გაუქმებისა და საბერძნეთში რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ.

გლუკსბურგის დინასტია კარგავს უფლებებს ათენის ტახტზე. მეფის ქონება და მამულები გადაეცემა სახელმწიფოს.

რეზოლიუცია ნაციონალური კრების მიერ ერთხმად არის მიღებული.

დაუყოვნებლივ რეზოლიუციის მიღების შემდეგ მოიგლიჯეს ქუდზე „კოკარდები“ და „პაგონები“.

ამნისტია მიენიჭა ყველა პოლიტიკურ ტუსაღებს, მათ რიცხვში ოფიცერებსაც—უკანასკნელი აჯანყების მონაწილეებს.

დღესასწაული რესპუბლიკის გამოცხადების გამო სამ დღეს გაგრძელდება.

სხვადასხვა ამბები

სამხრეთ-სლავია

პაშიჩის გადადგომა.

ვენა. 25 მარტი. პაშიჩი გადადგა. სკუპშჩინის სხდომები გადაიდო ახალი მთავრობის შედგენამდი. პაშიჩს კვლავ მიენდო კოალიციონური მთავრობის შედგენა.

საფრანგეთი

დეპუტატთა პალატამ უნდობლობა გამოუცხადა მთავრობას.

პუანკარეს კაბინეტი გადადგა.

პარიზი 25 მარტი. დეპუტატთა პალატაში პენსიების შესახებ კანონპროექტის განხილვის დროს პუანკარეს მთავრობას სრული მარცხი მოუვიდა. პალატის უმრავლესობამ მოითხოვა საპარლამენტო კომისიის კანონპროექტის განხილვა. ფინანსთა მინისტრმა დელასტეირმა, რომელიც გამოვიდა კანონპროექტის განხილვის წინააღმდეგ, დასვა საკითხი მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების შესახებ. ნდობის ვოტუმი უარყოფილ იქნა 271 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 264-სა. პუანკარემ გადასცა მილერანს თხოვნა კაბინეტის გადადგომის შესახებ.

გერმანია

არჩევნების წინ.

ბერლინი. 20 მარტი. გერმანიის ყველა კუთხეებიდან იტყობინებიან, რომ კრებებს, რომლებიც იმართება რეიხსტაგის არჩევნების წინ, მეტად მწვავე ხასიათი აქვთ. ცენტრის პარტიის მიერ მოწყობილი კრებები ჩაშალა ტევტონურმა პარტიამ, ტევტონური პარტიის კრებები კი კომუნისტებმა.

მეწარმეები დათმობაზე არ მიდიან.

ბერლინი. 20 მარტი. მიუხედავათ იმ დაბრკოლებათა, რომელსაც ადგილი აქვს ჰამბურგის, ლიუბეკის და ბრემენის ნავთსადგურის მუშების გაფიცვის გამო, მწარმოებლები მაინც მოითხოვენ სამუშაო დროის გადიდებას; მუშები წინააღმდეგი არიან სამუშაო დროის გადიდების.

სოციალ-დემოკრატები ხელს უშლიან გაფიცვის გაფართოვებას.

ყოფილი პატრიარქი ტიხონი და საბჭოთა ხელისუფლება

ტიხონის მონანიება.

მოსკოვი. 26 მარტი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელმა დონის მონასტერში ინახულა ყოფილი პატრიარქი ტიხონი. უკანასკნელმა ჯერ კიდევ არ იცოდა ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო ცაკის პრეზიდიუმმა მისი საქმის მოსპობის შესახებ. წაიკითხა რა დადგენილება, ტიხონი ფეხზე წამოდგა, პირჯვარი გადაიწერა და სთქვა:

„გადაეცით საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმს ჩემი ულრმესი მადლობა იმ ლმობიერ მოპყრობისათვის, რომელიც გამოიჩინა მან ჩემი წარსული მოღვაწეობისადმი. მთავრობას შეუძლია სრულიად დარწმუნებული იყოს, რომ ჩემში ნახავს საბჭოთა კავშირის ლოიალურ მოქალაქეს, რომელიც კეთილ სინდისიერათ შეასრულებს სამოქალაქო ხელისუფლების ყველა დეკრეტებს და დადგენილებებს“.

ტიხონი კატეგორიულათ უარყოფს სინოდის წრეების მიერ გავრცელებულ ცნობებს იმის შესახებ, თითქოს მას კავშირი ჰქონდა კათოლიკურ ეკლესიასთან.

პარტიული ცხოვრება

ლენინიზმის შესწავლისათვის

ლენინს, როგორც უდიდეს სახელმწიფო მოღვაწეს, როგორც პოლიტიკურ გენიოსს, რომლითაც ახალი ეპოქა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში, კარგად იცნობს არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელი მასა, არამედ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი და ეგრედ წოდებული დასავლეთ ევროპის საზოგადოებაც. ლენინი, როგორც პრაქტიკოსი, როგორც ხელმძღვანელი პროლეტარიატის დიქტატურისა, ცნობილია ყველა ერებისა და ყველა კლასებისათვის.

ხოლო უფრო ნაკლებადაა ცნობილი ლენინის განსაკუთრებული როლი კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობის საქმეში, იმ პარტიის, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში თავისი ორგანიზაციითა და შორსმჭვრეტელობით. აგრეთვე, ასევე არა სათანადოთ არის შეფასებული ჯერ მისი დამსახურება იმ მოძღვრების დამატებისა და პოპულიარიზაციის საქმეში რევოლიუციონურ მარქსისტული თვალთახედვის ისრით, რომელიც მოგვცა მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრებმა მარქსმა და ენგელსმა. გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ მარქსისა და ენგელსის შემდეგ მსოფლიო ისტორიაში მუშათა მასიურ მოძრაობაზე, სახელდობრ, საერთაშორისო მუშათა მოძრაობაზე და კერძოდ რუსეთისაზე, ასეთი ძლიერი გავლენა არავის მოუხდენია, არავის ისე ძლიერად არ გარდაუქმნია თავისი იდეებით მუშათა კლასის აწმყო თუ მომავალ თაობათა შეგნება, როგორც ეს წილად ხვდა ლენინს.

კომუნისტს, რომელსაც არ მოსურვებია მიმდინარე პარტიულ ცხოვრებისა და რევოლიუციონურ კლასიურ ბრძოლის გარეთ დარჩენა, პირველ ყოვლისა ევალება საფუძვლიანად გაეცნოს ლენინიზმს, ლენინის ყველა პუბლიცისტურს და თეორიულ შრომებს, რომლებიც კი 25 წლის განმავლობაში გამოსულან.

ის უზარმაზარი ლიტერატურული შემკვიდრეობა, რომელიც ახლა

ყოფა სისტემაში, უნდა გახდეს ყოველდღიურ სამაგიდო წიგნათ ყოველი პარტიული ამხანაგისთვის და ყოველი ადამიანისათვის, რომელსაც აინტერესებს ლენინის როლი ჩვენს პარტიაში და აგრეთვე ჩვენი პარტიის განსაკუთრებული როლი კლასიურ მოძრაობაში. ლენინიზმის ცოდნა, მისი გულდადებითი შესწავლა უნდა სავალდებულოთ გადაიქცეს ყოველი კომუნისტისათვის, რაც საიმედო უზრუნველყოფას მასცემს მას სწორად ზიდოს პარტიული ხაზი, თავის დროზე მოახდინოს სათანადო და შესაფერისი გავლენა ყოველ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენებზე და ცხოვრების ყოველგვარ სინამდვილეზე, რომ თავი დააღწიოს ყოველგვარ გადახრას, რომელიც ეწინააღმდეგება ორტოდოქსალურ მარქსიზმს თეორიაში და მარქსიზმს პრაქტიკაში და მოძღვრებაში, რომელთა ერთად აღებული სახელია—ლენინიზმი.

ყოველდღიური, მოუშორებელი, წვრილმანი და საფუძვლიანი მუშაობა, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივადაც, ყოველთვის არ აძლევდა საშუალებას ჩვენს პასუხისმგებელ თუ უბრალო მუშაკებს მოეცათ თავისი თეორიული ცოდნის გასაფართოებლად, ლენინის შემოქმედებათა ყურადღებით შესასწავლად. დღეს ლენინის სიკვდილით მდგომარეობა შეიცვალა. პარტია მთლიანათ არის მოწოდებული გასწიოს ამ ინდივიდუალური ტიტანიური აზრის მაგიერობა თავისი კოლექტიური შემოქმედებით. ასეთ გარემოებაში პარტიის ყოველი წევრი ვალდებულია ხელი მოკიდოს და შეუდგეს ლენინის ნაწარმოებთა საფუძვლიანად და სერიოზულად შესწავლას.

სანამ ქართულ ენაზე გამოიცემოდეს ლენინის თხზულებანი, წრეებმა უნდა ისარგებლონ იმ ლიტერატურით, რომელიც გაბნეულია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში და კრებულებში. წრეების ხელმძღვანელებმა უნდა გამოიჩინონ უნარიანობა და აქტივობა, რომ წრის წევრებმა შეითვისონ ლენინიზმის არსებითი მხარე, პარტიის ისტორია და ის როლი, რომელიც შეასრულა ამხ. ლენინმა, როგორც ამ პარტიის შემქმნელმა და ხელმძღვანელმა გენიალურმა ბელადმა. ამ წრეებში ამხანაგები კიდევ ერთხელ და უკანასკნელად უნდა დარწმუნდენ იმაში, თუ რა განსაკუთრებული ღვაწლი ჰქონდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ამხ. ლენინს, როგორც მარქსის ერთ საუკეთესო მოწაფეს, მეცნიერული სოციალიზმის საუკეთესო მიმდევარს როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში.

ა. ჯაფარიძე.

ამხ. ვერა კიზირიას ხსოვნას

21 მარტს სადგურ აბაშიდან დეპეშამ მეტად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა: „ვერა აბაშაში გარდაიცვალა". ამ სიტყვების შინაარსი გესლიანი ისარივით გაივლის იმ ახალგაზრდა და მოზრდილ მშრომელთა, კომუნ. პარტიის და კომუნ. კავშირის წევრების გულში, რომლებიც კი იცნობენ ამხ. ვერა კიზირიას.

ამხ. ვერა დაიბადა 1903 წ. აბაშის რაიონში, სენაკის მაზრაში, გლეხის ოჯახში, დიდის ვაივაგლახით ამთავრებს ქ. ქუთაისში საშუალო სასწავლებელს.

1919 წ. ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც კომუნისტური პარტია და მისი რეზერვი—კომუნისტური კავშირი გაშმაგებული ბრძოლას აწარმოებდა მუშების და გლეხების გასანთავისუფლებლად, ის შედის საქ. ახალგ. კომუნ. კავშირში და ხდება აქტიურ მუშაკად, ასრულებს პარტიის ყოველგვარ დავალებებს.

1922 წ. ივლისში შევხვდი მას ქ. ახალ-სენაკში წითელი საპედაგოგო კურსებზე, სადაც ის იყო მსმენელად აქ სადაც თავი მოეყარა 115 მსმენელს, რომლის 80 პროც. შეადგენენ კომ. პარტიის და კომუნ კავშირის წევრნი, ჩვენ შევსძელით ორგანიზაციულად მტკიცედ ჩამოგვეყალიბებია მუშაობა კომუჯრედში, მისივე ინიციატივით შევსძელით მოგვეხდინა პოლიტიკური გარდატეხა მსმენელებში, რომელნიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყვნენ წვრილბურჟუაზიული, მეშჩანური სულისკვეთებისაგან. ამავე დროს ამხ. ვერა კურსების საორგანიზაციო საქმეებშიც იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ამავე წლის აგვისტოს ს. ა ქ. ქ. სენაკის მაზრის მესამე კონფერენციაზე, სადაც ვერა დელეგატად იყო, ის არჩეული იქნა საკომის წევრად, კონფერენციამ ის გამოგზავნა სრ. საქ. ახ. კომ. კავშირის ყრილობაზე. ამხ. ვერა აწარმოებდა მუშაობას უმთავრესად კულტურულ-საგანმანათლებლო დარგში. 1923 წ. სენაკის მაზრის ორგანიზაცია მას გზავნის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დასამთავრებლად.

უნივერსიტეტში მოკლე ხნის ყოფნის შემდეგ ამხ. ვერა ს. კ. 3. ცეკას დავალებით იგზავნება აფხაზეთში სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად.

აფხაზეთში ის დარჩა დაახლოებით სამი თვე, სადგ. აბაშაში ჩამოსვლისას, თავის სახლში მოულოდნელად გარდაიცვალა. საქ. ახალგ. კომუნ. კავშირმა და კომუნისტური პარტიამ ამხ. ვერას სახით დაკარგა ერთი საუკეთესო აქტიური მუშაკი, დაუღალავი ენერგიის მქონე, მისაბაძი ახალგაზრდა ქალი.

ამხ. ვერა! შენ თუმცა გამოაკლდი ჩვენს რიგებს, სიკვდილმა არ დაგაცალა დაწყებული ბრძოლის გაგრძელება მშრომელთა საკეთილდღეოთ, მაგრამ ჩვენ განვაგრძელებთ შენს საქმეს საბოლოო გამარჯვებამდის. შენ აღარ ხარ, მაგრამ არის დიადი იდეა, რომლისთვის შენ იბრძოდი, შენ სახელს ის ორგანიზაცია, რომელშიაც შენ მუშაობდი არასოდეს არ დაივიწყებს, შენი სახელი არ ამოიშლება ჩვენი გულიდან

გაუმარჯოს იმ იდეალებს, რომლისათვისაც შენ იბრძოდი.

მშვიდობით ამხ ვერა!

ლევ ძიძიგური.

თბილისის საბჭოს პლენუმი

შაბათს, 24 მარტს სახალხო სახლში ამხ. ლადო სუხიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგში დასმული იყო 1) ამხ. ასრიევის მოხსენება ქალაქის წარმოებათა მდგომარეობის და კეთილმოწყობის შესახებ, 2) საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობის შესახებ დებულების დამტკიცება და 3) მიმდინარე საკითხები.

ქალაქის წარმოებათა მდგომარეობა.

(მომხსენებელი ამხ. ასრიევი)

1. ტრამვაი.

ტრამვაის დღევანდელი მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ვაგონების უმრავლესობა გაცვეთილია, რის გამოც ძნელი ხდება მათი გამოყენება.

გასული წლის დასასრულს უცხოეთიდან მიღებულ იქნა საიზოლიაციო მასალა, რამაც ქალაქის აღმასკომს საშვალება მისცა მატორიანი ვაგონების რიცხვი 35 გადიდებია.

გაცვეთილია აგრეთვე, განსაკუთრებით—ცენტრში,—ტრამვაის ლიანდაგი. მის აღსადგენად და შესაკეთებლად ქალაქის აღმასკომი იძულებული გახდა მოეხსნა ლიანდაგი სხვა ხაზზე.

ლიანდაგის გაცვეთა შეუძლებელს ხდის ვაგონების რიცხვის გადიდებას. გასულ წელს შეკეთებული ვაგონები წელსაც საჭიროებენ გენერალურ რემონტს. ტრამვაის ნორმალურ მდგომარეობაში ჩასაყენებლად შეძენილი უნდა იქნეს 150.000 ფუთი რელსი 15 ვერსის სიგრძისა.

გაფუჭებულია და გაცვეთილი აგრეთვე საჰაერო ხაზი ზოგ ადგილას საჰაერო ხაზის გაცვეთილობა 35—40 პროცენტს აღწევს. საჰაერო ხაზის აღსადგენად აუცილებელია მავთულის დიდი რაოდენობით შეძენა.

ცენტრალური სადგური ტრამვაის ერთად-ერთი განყოფილება, რომლის მდგომარეობა შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ცენტრალურ სადგურს აქვს 3 ორთქლის მანქანა და ერთი დიზელი. 1924 წელს განზრახულია ორთქლის მესამე მანქანის შეკეთება და ამუშავება.

ანონიმურ საზოგადოების ხელში თვითეულ ვაგონზე მუშაობდა საშვალოდ 12 კაცი, ამ ჟამად მუშაობს 20 კაცამდე.

ტრამვაის შტატის შესანახად იხარჯება საერთო შემოსავლის 62 პროცენტი, ხოლო სათბობ მასალის შესაძენად 18 პროცენტი, მომავლისათვის საჭიროა ხარჯების შემცირება არა შტატის შემოკლების გზით, არამედ ვაგონების რიცხვის გაზრდით. ტრამვაი ქალაქის მეურნეობის მთავარი ძარღვია და მისი აღდგენა საჭიროებს საბჭოს უკიდურეს ყურადღებას.

24 წლის ხარჯთაღრიცხვაში შეტანილია ტრამვაის აღსადგენი ხარჯები. ტრამვაის აღსადგენად სულ საჭიროა 580 ათასი მანეთი. ამ თანხიდან ტრამვაის განყოფილებას შეუძლია გაიღოს მხოლოდ 100 ათასი მანეთი, დანარჩენი თანხის მიცემა უნდა იკისროს ქალ. აღმასკომმა.

2. ელსადგურები.

თბილისის აღმასკომმა ელსადგურები ჩაიბარა თითქმის სავსებით განადგურებული, გარდა ერთი სადგურისა. არც ერთი არ იყო მთელი და გამოსადეგი, თუ არ შეკეთდებოდა. 1923 წლის პროგრამით განზრახული იყო ელექტ. სადგურის საერთო ძალის 2500 ც. ძალამდე გადიდება ელსადგურების შეკეთების და აღდგენის საშუალებით. უსახსრობის გამო რემონტი ვერ შესრულდა განზრახული პროგრამის მიხედვით. შეკეთდა მხოლოდ სადგურების 87,5 პროც. ყველა კომ. წარმოება და მათ შორის „უესი"-ც მუშაობს უდოტაციოთ და მთავრობისგან დახმარების მიუცემლად.

ამიტომ „უეს" მართებს ყველა დაწესებულების მხრივ სიფრთხილით მოპყრობა, რომ წარმოება არ დაიღუპოს. სხვადასხვა დაწესებულებათა მიერ „უესი"-სთვის ვალის გადაუხდელობის გამო, „უეს"-ის ფინანსიური მდგომარეობა კატასტროფიულია. მრავალ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებას გადაუხდელი აქვს არა მარტო წლევანდელი, არამედ გასული წლის ვალი. დაწესებულებათა დავალიანება „უეს"-ის მიმართ გასული 23 წლისთვის უდრის—185,127 მანეთს; თუ ეს ვალი გადახდილი არ იქნა, „უეს" იძულებული გახდება შეუწყვიტოს სინათლის მიწოდება დავალიანებულ დაწესებულებათ.

გასულ წელს „უეს"-ის შტატის შენახვა დაუჯდა გათვალისწინებული 27 ათასი მანეთის ნაცვლად 47 ათასი მანეთი, განზრახულ იყო რემონტზე დახარჯულიყო საერთო შემოსავლის 40 პროცენტი, ნამდვილად დაიხარჯა მხოლოდ 32 პროც.

მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვაში დიდი ადგილი უჭირავს სადგურების შესაკეთებელ ხარჯებს, იმ მოსაზრებით, რომ 2 წლისწადში დასრულდება ზემო ავჭალის ჰიდრო-ელ. სადგური. ახალ სადგურებს ქალაქი არ სდგამს. განზრახულია მხოლოდ ენერგიის 3000 ცხ. ძალით გადიდება. ამ მიზნით ა | კ. საგარეო ვაჭრობის კომ—თან დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალით მან „უეს" უნდა მიაწოდოს „დიზელი" და სხვა მამოძრავებელი.

ქალაქის წარმოებათა მდგომარეობა

(მომხსენებელი ამხ. ასრიევი)

3 ქალაქის სასაკლაო

1922 წელს ქალაქის სასაკლაოში დაიკლა 29.242 მსხვილფეხი საქონელი. საერთოდ მშვიდობიან დროსთან შედარებით დაკვლა შემცირდა 13 ით, ხოლო 1922 წელთან შედარებით 1923 წელს დაკვლა გაიზარდა.

საუტილიზაციო ქარხანა, რომლის დანიშნულებაა დაწუნებული და უვარგისი საქონლის დამუშავება-გამოყენება, მუშაობს მთელი ქალაქის მასშტაბით და შემოსავლის გარდა მიზნად ისახავს ქალაქის ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას.

ხაშნის ქარხანა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და 1924 წელს ქალაქის აღმასკომს მისცემს საგრძნობ მოგებას.

ყინულის ქარხანამ 1923 წელს დაამზადა 23 386 ფუთი ყინული და იძლევა საკმაო მოგებას.

ძეხვის ქარხანა, რომელმაც გასულ წელს მოამარაგა 20.000 ფუთი დამარილებული ღორის ხორცი, იძლევა მოგებას.

საერთოდ სასაკლაო კარგს მდგომარეობაშია და ყველა მისს საწარმოო განყოფილებიდან 24 წელ მივიღებთ დაახლოებით 150 ათასს მანეთს მოგებას.

4. აბანოები.

ქალაქის წარმოებებს შორის ერთი უდეფიციტო და მომგები მომცემი საწარმოო დაწესებულებაა—აბანოები. გასულ წელთან შედარებით აბანოში მავალ მოქალაქეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. 1923 წელს მიუხედავად დიდი რემონტისა, აბანოებმა დასტოვა 32 პროცენტი მოგება.

1924 წლის ხარჯთაღრიცხვით სამეურნეო ხარჯებისთვის გათვალისწინებულია 2197 პროც., სოციალურ დაზღვევისათვის—6 პროც, ხოლო შტატის შესანახად—33 პროც. 24 წელს აბანოები მოგვცემს დაახლოებით 200,000 მან. მოგებას.

საერთოდ აბანოების მდგომარეობა როგორც ფინანსიური, ისე მეურნეობის თვალსაზრისით, სავსებით დამაკმაყოფილებელია.

5 წისქვილები.

წისქვილები საჭიროებდენ დიდ შეკეთებას, რაც ნაწილობრივად უკვე შესრულებულია. რემონტის შემდეგ ნაყოფიერება იზრდება და მომავალ წელს წისქვილები მოგვცემს მოგებას.

მიწად. მოქ. სახ. კომ. შეთანხმებით ახლო მომავალში მოეწყობა მალცის წისქვილი, რომელიც ყოველდღიურად 3500 ფუთს ხორბალს დაფქვავს.

ეს გარემოება საშუალებას მოგვცემს დაკმაყოფილოთ მოთხოვნილება კოოპერატიულ ფურნეების რომლებიც ამ მოკლე ხანში გაიხსნება.

ქალაქის კეთილმოწყობა.

გასულ წელს კეთილმოწყობის განყოფილებამ შეასრულა ყველა ტეხნიკურ სამუშაოთა 70 პროცენტი, რაზედაც დახარჯულა 300,000 მან. განყოფილების მუშაობა შეეხებოდა უმთავრესად ქუჩების მოკირწყვლას და დაგებას, საბჭოთა სახლების, საბავშო ბაღების და სკოლების და სხვების შეკეთებას.

განყოფილება მთავარ ყურადღებას აქცევდა უმთავრესად განაპირა უბნებს და გაჰყავდა ახალი ქუჩები მომავალში განზრახულია განაპირა რაიონებში მუშაობის უფრო გაფართოვება.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ცალკე უბნებში შესრულებულ სამუშაოთა მიმოხილვაზე. დასასრულ მომხსენებელი აცნობს საბჭოს სანადო სექციის მუშაობას, რომელიც გამოიხატა უმთავრესად ცენტრსა და განაპირა უბნებში ახალი ბაღების გაშენებაში.

კამათი

საბჭოს წევრნი კეთილმოწყობის განყოფილებას უსაყვედურებენ, რომ ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას ვერ უქცევს შესაფერი ყურადღება, რიზედაც მომხსენებელი ამხ. ასრიევი განუმარტავს საბჭოს, რომ ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უკვე გამოყოფილია ამხ. გეგეჭკორის მეთაურობით სამეული, რომელიც მოკლე ხანში შეუდგება მუშაობას.

საბჭოს წევრები აღნიშნავენ აგრეთვე იმ საშინელ მდგომარეობას, რომელშიაც ვარდებიან გლეხები სასაკლაოში, სადაც ისინი მოდიან გასაყიდათ საქონლის და სხვადასხვა გარემოების გამო ჩარჩების მსხვერპლი ხდებიან.

ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ,—ამხ. ასრიევი აუწყებს საბჭოს, რომ სასაკლაოსთან ეწყობა ჩამოსულ გლეხებისათვის სპეციალური ღამისგასათევი სასტუმრო, სადაც გლეხებს უფასოდ დაბინავების საშვალება მიეცემათ.

დებულების დამტკიცება.

კამათის დასრულების შემდეგ ამხ. არჩ. რუხაძე საბჭოს უკითხავს დებულებას საბჭოს წევრის უფლება მოვალეობის შესახებ. დებულება ერთხმად იქნა მიღებული.

საბჭო ერთხმად ამტკიცებს აღმასკომის წევრად ამხ. მამულიას.

დასასრულ საბჭო მცირეოდენი შესწორებით ერთხმად იღებს შემდეგ რეზოლუციას.

რეზოლუცია.

მოისმინა რა ამხ. ასრიევის მოხსენება ქალაქის წარმოებათა მდგომარეობის და ქალაქის კეთილმოწყობის შესახებ, თბილისის საბჭოს პლენუმი იწონებს აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ ღონისძიებათ. ამავე დროს აღნიშნავს რა ქალაქის წარმოებათა, განსაკუთრებით—ტრამვაის და ელსადგურების მძიმე მდგომარეობას, წინადადებას აძლევს პრეზიდიუმს მიიღოს ყოველგვარი ზომები 24 წლისათვის ქალაქის წარმოებათა და კეთილმოწყობის გასაუმჯობესებლათ·

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(28 მარტი)

ჩერვონცები —	24.000 მილ.
გირვ. სტერლინგ ეფექტ.	19 600 „
„ ჩეკები —	18 000 „
დოლარი ეფექ.	4670 „
„ ჩეკები —	4450 „
ოსმ. ქაღ. ლირა —	2650 „
იტალიური ლირა —	192 „
ფრანგული ფრანკი —	240 „

ბიულეტენი

ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი სავალუტო კომისიისა.

(28 მარტი)

ოქროს მანეთი 2.400 მილ.

მუშკოოპის ფასები.

(28 მარტი)

პური 2 ხარ.—150,000 ათასი, ძროხის ხორცი—805,000 ათ., შაქარი რაფინადი 874,000 ათ., შაქარი ფხვნილი—667,000 ათ., ბრინჯი აღდ. 253,000 ათ. კარტოფილი—92,000 ათასი.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(28 მარტი)

პური 1 ხარ.-275.000 ათ. პური 2 ხარ.—200,000 ათ., ძროხის ხორცი—900,000 ათ., ღორის ხორცი—950,000 ათ., შაქარი რაფინადი—950,000 ათ,. შაქარი ფხვნილი—725,000 ათ., ბრინჯი აღდ.—450,000 ათ., კარტოფილი—150,000 ათასი.

ბირჟის მიწოდება.

(28 მარტი)

მზესუმზირას ზეთი, მანანა, მარტენის მავთული ჩაი (ცეილონის და ჩინეთის, სახურავი რკინა ინგლ., ნაწლევები, (15 ათ. კონა) სპილენძი (ფურცლოვანი), ტყავის ღვედები, „სახაროტრესტ"-ის პროდ., „გლავხლოპკომ"-ის პროდუქცია, „ხლებოპროდუქტ"-ის ფქვილი, „კოჟსინდიკატის" პროდუქცია, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს., „კრაიტორგ"-ის პროდუქცია (ცემენტი, ეტერნიტი და სხვ.), სახალხო მეურნ. საბჭოს საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი 1 ხარ, „პეტუხ" ტუალეტის, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ერევნის მატყლი, (გარეცხილი), პაპიროსის ქაღალდი, ყავა „მოკკო", თხილი, შაბიამანი, შაბი, გაზეთის ქაღალდი, იტალიური გოგირდი, კარაქი. კარტონი „ცარპაიტორგ"-ის პროდუქცია.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება

(28 მარტი)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 ჩ.	— 24.000.000	56 ჩ.	—1.344.000.000
2 ჩ.	— 48.000.000	57 ჩ.	—1.368.000.000
3 ჩ.	— 72.000.000	58 ჩ.	—1.392.000.000
4 ჩ.	— 96.000.000	59 ჩ.	—1.416.000.000
5 ჩ.	—120.000.000	60 ჩ.	—1.440.000.000
6 ჩ.	—144.000.000	61 ჩ.	—1.464.000.000
7 ჩ.	—168.000.000	62 ჩ.	—1.488.000.000
8 ჩ.	—192.000.000	63 ჩ.	—1.512.000.000
9 ჩ.	—216.000.000	64 ჩ.	—1.536.000.000
10 ჩ.	—240.000.000	65 ჩ.	—1.560.000.000
11 ჩ.	—264.000.000	66 ჩ.	—1.584.000.000
12 ჩ.	—288.000.000	67 ჩ.	—1.608.000.000
13 ჩ.	—312.000.000	68 ჩ.	—1.632.000.000
14 ჩ.	—336.000.000	69 ჩ.	—1.656.000.000
15 ჩ.	—360.000.000	70 ჩ.	—1.680.000.000
16 ჩ.	—384.000.000	71 ჩ.	—1.704.000.000
17 ჩ.	—408.000.000	72 ჩ.	—1.728.000.000
18 ჩ.	—432.000.000	73 ჩ.	—1.752.000.000
19 ჩ.	—456.000.000	74 ჩ.	—1.776.000.000
20 ჩ.	—480.000.000	75 ჩ.	—1.800.000.000
21 ჩ.	—504.000.000	76 ჩ.	—1.824.000.000
22 ჩ.	—528.000.000	77 ჩ.	—1.848.000.000
23 ჩ.	—552.000.000	78 ჩ.	—1.872.000.000
24 ჩ.	—576.000.000	79 ჩ.	—1.896.000.000
25 ჩ.	—600.000.000	80 ჩ.	—1.920.000.000
26 ჩ.	—624.000.000	81 ჩ.	—1.944.000.000
27 ჩ.	—648.000.000	82 ჩ.	—1.968.000.000
28 ჩ.	—672.000.000	83 ჩ.	—1.992.000.000
29 ჩ.	—696.000.000	84 ჩ.	—2.016.000.000
30 ჩ.	—720.000.000	85 ჩ.	—2.040.000.000
31 ჩ.	—744.000.000	86 ჩ.	—2.064.000.000
32 ჩ.	—768.000.000	87 ჩ.	—2.088.000.000
33 ჩ.	—792.000.000	88 ჩ.	—2.112.000.000
34 ჩ.	—816.000.000	89 ჩ.	—2.136.000.000
35 ჩ.	—840.000.000	90 ჩ.	—2.160.000.000
36 ჩ.	—864.000.000	91 ჩ.	—2.184.000.000
37 ჩ.	—888.000.000	92 ჩ.	—2.208.000.000
38 ჩ.	—912.000.000	93 ჩ.	—2.232.000.000
39 ჩ.	—936.000.000	94 ჩ.	—2.256.000.000
40 ჩ.	—960.000.000	95 ჩ.	—2.280.000.000
41 ჩ.	—984.000.000	96 ჩ.	—2.304.000.000
42 ჩ.	—1.008.000.000	97 ჩ.	—2.328.000.000
43 ჩ.	—1.032.000.000	98 ჩ.	—2.352.000.000
44 ჩ.	—1.056.000.000	99 ჩ.	—2.376.000.000
45 ჩ.	—1.080.000.000	1 ა.	— 2.400.000.000
46 ჩ.	—1.104.000.000	2 ა.	—4.800.000.000
47 ჩ.	—1.128.000.000	3 ა.	—7.200.000.000
48 ჩ.	—1.152.000.000	4 ა.	—9.600.000.000
49 ჩ.	—1.176.000.000	5 ა.	—12.000.000.000
50 ჩ.	—1.200.000.000	6 ა.	—14.400.000.000
51 ჩ.	—1.224.000.000	7 ა.	—16.800.000.000
52 ჩ.	—1.248.000.000	8 ა.	—19.200.000.000
53 ჩ.	—1.272.000.000	9 ა.	—21.600.000.000
54 ჩ.	—1.296.000.000	1 ჩერ	24.000.000.000
55 ჩ.	—1.320.000.000		

ბირჟის მოთხოვნილება.

მატყლი თუშური, რუს. მანუფაქტურა, ნედლი ტყავეულობა, თხილი, გოგირდი ფხვნილი, ტომრები, შაქარი რაფ. და ფხვნილი, მზესუმზირას ზეთი, ტეხნიკური ცხიმი, ქვამარილი ნახიჩევანის, სალომასი, „კოჟსინდიკატ"-ის პროდუქცია.

ოფიციალური ფასები.

წყალსადენის მილები. (რკინის) —2 მ. 43 კ. ფუტში, ფრანკო—გამყიდველის საწყობი. წყალსადენის მილები—1 მ. 40 კ. ფუტი, შაქარი (ფხვნილი) რუს.—10 მ. 51 კ. და რაფინადი 12 მ. 43 კ. ფ., ფრანკო გამყიდველის საწყობი.

საქონლის ბაზრის განწყობილება

ხორბლის და პურეულის ბაზარზე—უმოქმედობა, შაქრის ბაზარზე—ცოტად გაცხოველებული, დანარჩენ ბაზრებს ცვლილება არ ეტყობათ.

ამიერკავკასიის ცაკის კომისიის გამგზავრება პროვინციაში

საბჭოთა ადგილობრივი ორგანოების მუშაობის გასაცნობათ და მუშათა და გლეხთა საჭიროებათა გამორკვევის მიზნით დღეს თბილისიდან პროვინციაში მიემგზავრება კომისია: ამხ. აღამალის-ოღლის, ამხ. შავერდოვის და ამხ. ქვანიას შემადგენლობით შემდეგი მარშრუტით: ბათომი—სოხუმი—გაგრი—ათონი—ფოთი—ახალსენაკი—ზუგდიდი—ქუთაისი—ჭიათურა—ხაშური—ახალქალაქი—გორი—ცხინვალი—ბორჩალო—თელავი—სიღნაღი.

ქრონიკა

— **ა. კ. მიწად-მოქმედების კომისარიატის წარმომადგენელთა ყრილობა** ხვალ 29 მარტს თბილისში გაიხსნება ა. კ. მიწად-მოქმედების კომისარიატების წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობას გადამწყვეტი ხმით დაესწრება სამივე რესპუბლიკის 21 წარმომადგენელი გადამწყვეტი ხმით.

— **ა. კ. კომისარიატების და სახელმწიფო დაწესებულებების შემადგენლობათა გამორკვევა.** ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოაწყო კომისია ა. კ. სახ. კომისარიატების და სახ. დაწესებულებების პირადი შემადგენლობის, მათი ხელფასის და სხ. გამოსარკვევათ.

— **მიწათმოქმედების კომისარიატების თათბირი** 29 მარტს დილის 10 საათზე ქალაქ თბილისის აღმასკომის შენობაში (სხდომის დარბაზი, ოთახი № 10) გაიხსნება მიწათმოქმედების კომისარიატების თათბირი.

— **სათბობი მასალის გამოხაზოგვა.** ა. კ. რკინის გზის სამმართველოსთან შესდგა საგზაო თათბირი გზებზე სათბობი მასალის ხარჯვის შესამცირებლათ.

— **დახმარება ინვალიდებს.** საქ. უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ ომის ინვალიდთა სასარგებლოდ გადასდო 120 მან. ჩერ.

— **სახ. დაწესებულებების დავალიანება.** ქ. აღმასკომს საბჭოთა დაწესებულებებიდან და სამხედრო უწყებებიდან ერგება (დავალიანება 1923 წ.) 435,000 მან ჩერ. აღნიშნული თანხა შეადგენს აღმასკომის ხარჯთაღრიცხვის 30 პროც.

— **ქალაქის კეთილმოწყობა.** ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით დაარსდა სამეული ამხ. ს. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით.

— **კერძო ვაჭრების წინააღმდეგ.** ვინაიდან ქალაქის სასაკლაოსთან მირეკილ საქონელს ყიდულობენ კერძო დალალ-სპეკულიანტები გლეხების და სასაკლაოს საზარალოდ, ამიტომ ქ. აღმასკომმა გადასწყვიტა ქალაქის სასაკლაოში იყოლიოს თავისი დალალები.

— **სრ. საქართველოს თვითმშრომელთა საზოგადოებების ყრილობა.** მაისის პირველ რიცხვებში თბილისში მოწვეულია სრ. საქართველოს თვითმშრომელთა საზოგადოებების ყრილობა.

დახმარება ომის ინვალიდებს. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის და სოც. უზრ.—ყოფის კომისარიატის მოწოდების თანახმად, ბამბის მთავარ კომიტეტებმა ინვალიდთა ხელოვნურ ხელფეხს გასაკეთებლად გადასდო 10 ჩერ. ამავე მიზნით ფინანსთა სახ. კომისარიატმა გაიღო 12 ჩერ. და 30 ჩერ. სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციამ.

— **თვითმშრომელ საზოგადოების დაარსება გორში.** 24 თებერვალს გორში დაარსდა თვითმშრომელთა საზოგადოება.

— **ლენინის სახელობის გლეხთა სახლი.** ლენინის სახელობის გლეხთა სასახლემ ქუთაისში ავადმყოფ გლეხებისთვის მოაწყო 30 საწოლი, სამკითხველო და იურიდიული რჩევადარიგების ბიურო.

— **ნიხრის დაკლება ელექტრონზე.** სიძვირესთან ბრძოლის მიზნით ელექტრონზე ნიხრი დაკლებულია 14 პროცენტით.

— **დახმარება უმუშევართა სასადილოს.** საქ. სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა უმუშევართა სასადილოს საჭიროებისათვის ყოველთვიურად გაიღოს 250 მან. ჩერ.

— **ელექტრო-მანქანები.** ელექტრონის სადგურების სამმართველომ ხელშეკრულება დასდო ა—კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატთან საზღვარგარეთ ელექტრო-მანქანებისა და საჭირო მასალების შესაძენათ.

— **ტყის მოშენება თბილისის მიდამოებში.** ქ. აღმასკომის სატყეო კულტურის სექციამ თბილისის მიდამოებში ტყის გასაშენებლათ გადასდო 15,000 მან. ჩერ.

— **ქოხ-სამკითხველოები.** თბ. პოლიტგანათლების მთ. მმართველობამ ქოხ სამკითხველოების საჭიროებისათვის გადასდო 13,920 მან ჩერ.

— **მოძრავი წიგნთ-საცავები.** თბ. პოლიტგანათლების მთ. მმართველობა შეუდგა 12 მოძრავ წიგნთ-საცავ სამკითხველოს მოწყობას თბ. მაზრისათვის.

— **შრომის ბირჟა.** 26 მარტს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—109. ახლად ჩაეწერა—100, მოთხოვნილება იყო—91, სამუშაოზე გაიგზავნა—53.

შემთხვევები.

— **გვამის პოვნა.** 27 მარტს, დილით მუხრანის ხიდთან იპოვეს ვინმე ყაზაროვის გვამი. გვამს ეტყობა ბოროტგამზრახველების მიერ ხელით დახრჩობა. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **ქურდობა.** 25 მარტს ღამით საბურთალოში გაქურდული იქნა ვასილი კაზაკოვის საკუჭნაო, საიდანაც წაღებულია მრავალი საოჯახო ნივთები და ტანისამოსი, რომელთა ღირებულება გამოურკვეველია.

— **უცაბედი შემთხვევა.** 24 მარტს საღამოს 6 საათზე მილიციონერმა გიორგაძემ რევოლვერის წმენდის დროს უცაბედათ დასჭრა თავისი ცოლი თამარა გიორგის ასული, რომელიც გადაიგზავნა რესპ. მთ. საავადმყოფოში.

— **დაპატიმრება.** 24 მარტს ეჭვით შეიპყრეს კონსტანტინე ივანეს ძე რომანენკო, რომელსაც ბრალდება ამავე დღეს ნიკოლოს ჩიტილოვის ბინის გაქურდვა (სასამართლოს ქ. № 4).

— **შეიპყრეს.** 24 მარტს, დილით ავლაბრის ქ. № 13, მოქ. ეფროსინე ომიაძის ეზოში ადგილობრივ შეიპყრეს ბოროტმოქმედი ივანე ოსაცენკო, რომელსაც თან აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები.

— **ქურდობა.** 24 მარტს ღამის 2 საათზე პლეხანოვის პრ. № 125, გაქურდული იქნა კინო-„პალასის" ელექტრონის სადგური, საიდანაც წაღებულია მატორის ტყავის ღვედი სიგრძით 22 არშინი, ღირებული 100 ჩერვონეცი, ეჭვით შეიპყრეს ამავე სადგურში მომუშავე ანტონ მალიანსკი.

ხელოვნება

— **ხელოვანთა სასახლეში** შაბათს, 29 მარტს მწერალ ქალთა ჯგუფი გამართავს მორიგ საღამოს, ხელოვანთა სასახლეში. მოხსენებას გააკეთებს ანიკო ლვინიაშვილი „არჩილ მეფის ნაწერების შესახებ". დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

— **ლენინის ნაწერების შესწავლა.** სტალინის სახელობის კლუბთან დაარსდა მუშათა კულტურული წრე ლენინის ნაწერების შესასწავლათ.

— **საღამო-წარმოდგენა მუშებისათვის.** პარასკევს, მარტის 28 პლეხანოვის თეატრში გაიმართება საღამო-წარმოდგენა მუშებისათვის.

— **კინო-მრეწველობა.** სახელმწიფო კინო მრეწველობამ გადასწყვიტა ა.-კ გარეშე ვაჭრობის კომისარიატის საშუალებით საზღვარ-გარეთ შეიძინოს კინოსათვის საჭირო მასალები, განსაკუთრებით ლენტები.

— **თეატრის უფასო ბილეთები.** სახალხო სახლში წარმოდგენებზე დასასწრებლათ წითელარმიელებისთვის გადაიდო 110 ბილეთი.

— **თვითშემოქმედების საღამო.** დღეს, 28 მარტს მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართება თვითშემოქმედებითი წარმოდგენა-კონცერტი კორგანოვის ხელმძღვანელობით.

დღეს თეატრებში.

— **რუსთაველის თეატრი.** თურქული წარმოდგენა.

— **ოპერა.** სობინოვის მეორე გასტროლი „ტრავიატა".

— **სახ. სახლი.** ქართული წარმოდგენა.

პროვინციაში

აჭარაკი ბახმარო

ბათომიდან 40 ვერსის მანძილზე სწორი ხაზით, მდებარეობს ბუნებისაგან უხვათ დაჯილდოებული, მდიდარი სამკურნალო წყლებით და ჰავით, მაგრამ ჯერ კიდევ მოუწყობელი აჭარაკი ბახმარო.

1922 წლის ზაფხულში, ჯანსახკომის დავალებით წარგზავნილ იქნა ბახმაროში „შემსწავლელი ექსპედიცია" უნივერსიტეტის დეკან პროფ. ალადაშვილის და პროფ. გოგიტიძის მეთაურობით. აღნიშნულმა პროფესორებმა შეისწავლეს ბახმაროს ჰავა და [illegible] შესახებ სათანადო მოხსენებაც წარუდგინეს მთავრობას. პროფ. თქმით, ბახმაროს ჰავა სრულებით კურნავს 1 და 2-ე საფეხურის ჭლექით ავადმყოფებს. მაგრამ მიუხედავათ ასეთი თვისებისა, როგორც ვთქვით, მას ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება.

რადგანაც ეხლა საკურორტო სეზონი მალე დაიწყება, საჭიროთ მიმაჩნია რამოდენიმე პრაქტიკული წინადადება წამოვაყენო საკურორტო სამმართველოს წინაშე ბახმაროს შესახებ.

ყოველ წლობით ბახმაროში თავს იყრის 7—9 ათასამდე კაცი და ქალი. დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს მოაგარაკეთათვის უგზოობა. ბახმარო თითქმის სავსებით მოწყვეტილია დანარჩენ რაიონებს. აქ აღის უბრალო ფეხის გზა, რომელზედაც ცხენითაც საშიშია მგზავრობა: ბახმაროს გურიის მხრით ტერიტორიალურათ აკრავს ოთხი თემი. ყველა თემის მცხოვრებთ ბახმაროზე სავალი გზა საკუთარი ძალებით გაუკეთებიათ და ამიტომ ვერ მორიგდნენ მის გაყვანას. საბჭოთა ხელისუფლებამ გაგზავნა გზის გამოსარკვევათ ინჟინერი, რომელმაც დაამტკიცა „ნაბეღლავის" გზა, საჭირო ხარჯთ აღრიცხვაც შეადგინა და წარუდგინა მთავრობას. ხალხმა მთავრობის დახმარების იმედით უკვე დაიწყო გზის კეთება და ნახევარზე მეტი უკვე გააკეთა საურმე გზა. 1923 წელში კი ინჟინერ ამაშუკელმა გზის ახალი გეგმა გაიყვანა მდინარე ბახვის ნაპირით. არ არის გამორკვეული, თუ რომელი უნდა გაკეთდეს, ძველად დაწყებული გზა, თუ ახალი. მაგრამ მთავარი ის არის, რომ აღნიშნულ გზის გაყვანა სამაზრო აღმასკომს თავისი ძალებით არ შეუძლია, თუ მას სათანადოთ არ დაეხმარენ ცენტრალური ორგანოები.

გასულ წელში ბახმაროს გამგეთ დანიშნულ იყო ამხ. ვაწაძე, რომელიც თითქმის სეზონის დამთავრების დროს ჩამოვიდა ბახმაროში და მან იქ ბევრის გაკეთება ვერ შესძლო, მის ჩამოსვლამდე ბახმაროს განაგებდა მისი მოადგილე ამხ. ჩიჩუა, რომელმაც დიდი ენერგია გამოიჩინა ბახმაროს კეთილ მოწყობის საქმეში ერთი უმთავრესი საქმეთაგანი იყო ბახმაროს დაცვა პიროტყვებისაგან, რომლის გამო [illegible] ჰავა [illegible] სისუფთავე არ იყო. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ბახმაროს გამგეობის შედგენა ჯანმრთელობის კომისარიატის [illegible] სამაზრო ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ამათ [illegible] ფუნქციები, თუ არა ევალება ამ აგარაკის მოვლა-პატრონობის საქმეში მის გამგეობას და რა ევალება ადგილობრივ ხელისუფლებას. ეს შექმნის ხელსაყრელ პირობებს უფრო შეთანხმებული მუშაობისათვის.

გასულ წელში იქ დაწყებულ იქნა დასასვენებელი სახლის აგება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება მოაგარაკე მუშა-მოსამსახურეთათვის—ეს სახლი მიმდინარე წელში აუცილებლათ უნდა დამთავრდეს.

მიუხედავათ იმისა, რომ აგარაკზე თავს იყრის რამოდენიმე ათასი კაცი მთელი 4—5 თვის განმავლობაში, აქ არ არის თეატრი, სამკითხველო და რაც უმთავრესია, ფოსტის მიმოსვლა. გასულ წელს გამგეობამ ამას მიაქცია სათანადო ყურადღება, მაგრამ საქმე მაინც საჭირო დონეზე ვერ დააყენა. სამკითხველო ერთი ოთახიდან მეორეში გადაჰქონდათ და ბოლოს მთლად დახურეს უბინობის გამო. წერილის გაგზავნა ფოსტით შეუძლებელი იყო, და სხვა. საჭიროა ყველა ამას დროზე გაეწიოს ანგარიში სათანადო ორგანოების მხრით.

ქ ხარაძე.

შორაპნის მაზრა

მე მინდა ხაზი გავუსვა ისეთ თვალსაჩინო ფაქტს, როგორიც არის ჩოლობურის ხიდის გაკეთება. აქამდე ჩხარის გლეხობა უხიდობის გამო მოწყვეტილი იყო მაზრის ცენტრს. მას საშუალება არ ჰქონდა თავისი საქონელი და ნაჭირნახულევი უშუალოდ გაეტანა ბაზარზე, ან თუ ამას მოახერხებდა, საჭირო იყო დიდი წვალება, დროისა და ენერგიის დახარჯვა. ამიტომ იგი იძულებული ხდებოდა ჩარჩ-ვაჭრებისთვის ჩალის ფასად მიეცა თავისი ნაწარმი. ჩოლობურის ხიდის აშენება კი რამოდენიმე საზოგადოებას დაუკავშირებს შორაპანს და მაზრის სხვა ცენტრალურ ერთეულებს.

აღსანიშნავია აგრეთვე ქ. ჭიათურაში მდ. ყვირილის ნაპირების გასამაგრებლად დამბის გაკეთება. ადიდების დროს მდ. ყვირილა დიდ ზარალს აყენებდა ქალაქს, ზოგიერთ უბნებს აქცევდა, იტაცებდა დამუშავებულ მარგანეცს.

გაკეთდა აგრეთვე საჩხერის ტეხნიკუმისათვის შესაფერისი ბინა; აღმასკომის დახმარებით კაპიტალურად შეკეთდა რაჭისაკენ მიმავალი ხრეშის გზა, რასაც დიდის კმაყოფილებით შეხვდენ მცხოვრებნი. მიუხედავად მრავალი დადებითი ხასიათის მუშაობისა მაინც ბევრი საჭირბოროტო საკითხი კიდევ არ არის ჯეროვნად გადაჭრილი. მაზრის რამდენიმე კუთხე საჭიროებს დამბებს, ტელეფონის ქსელის გაყვანას, აგრეთვე მრავალ სკოლებში სათანადოდ არ არის შერჩეული პედაგოგიური პერსონალი; ზოგი სკოლა უკიდურეს ნაკლსა და გაჭირვებას განიცდის ნივთიერად. მაგალითად, ლიჩის საზოგადოების სკოლას, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც დაარსდა, არ გააჩნია აუცილებელი საჭირო ინვენტარი, და სხვა. ასეთ პირობებში იმყოფება ბევრი სხვა სკოლებიც.

სათანადოთ არ არის გადაჭრილი კოოპერაციის საკითხიც დღეს, როდესაც მდგომარეობამ განსაკუთრებით მოითხოვს კოოპერაციის განვითარებას, რის საშუალებითაც სოფელი მჭიდრო კონტაქტში უნდა შევიდეს ქალაქთან და უშუალოდ აწარმოოს საქონლის გადაცვლა, და სხვა, მაზრის სამრეწველო ცენტრში, თვით ჭიათურაში, კოოპერატივი დაბალ საფეხურზედ სდგას. მან ვერ მოახერხა სოფლების დაქსელვა თავისი განყოფილებებით, რომ ფართო მშრომელ მასას ხელსაყრელ პირობებში მიაწოდოს პირველი საჭიროების აუცილებელი საგნები. მთელი მაზრის ფარგლებში ამ მხრივ ცოტად თუ ბევრად უფრო დამაკმაყოფილებელია ზესტაფონისა და ხარაგოულის კოოპერატივები.

აი, ამ ნაკლის გამოსწორებისაკენ უნდა მიმართოს აღმასკომმა თავისი საქმიანობა. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ზემოხსენებულის განსახორციელებლად მარტო ინიციატივა არ კმარა. საჭიროა საკმაო ნივთიერი რესურსები და ცენტრალური მთავრობის დახმარებაც.

მუშათა და გლეხთა მთავრობა თვითონ ზრუნავს ასეთ საქმეებზე და ამ შემთხვევაშიც იგი სათანადოდ დაეხმარება შორაპნის მაზრის აღმასკომს მას ენერგიულ საქმიანობაში.

ჭიათურელი გ. შ.

ქ. ფოთი

ამ წლის 3 მარტს საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანმა ამხ. კახიანმა ფოთის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, პროფესიონალურ კავშირების გამგეობებთან, აღმასკომებთან და კომპარტიის ფოთის ორგანიზაციის წევრებთან ერთად გააკეთა მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მეორე ყრილობის მუშაობის შესახებ და მისი საერთაშორისო მდგომარეობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყრილობის მუშაობა მოხდა იმ დროს, როდესაც ჩვენ მოგვშორდა შეუდარებელი ბელადი ამხ. ლენინი.

მაგრამ მისი სიკვდილის გამო მუშათა კლასი არ დაბნეულა, მას არ დაუყრია იარაღი და კერძოდ ეს გამოიხატებოდა იმ სერიოზულ მუშაობაში, რომელიც შეასრულა საბჭოთა ყრილობამ. ყველა დელეგატები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ მის მუშაობაში. საყურადღებო იყო გლეხების გამოსვლა, რომლებიც ფხიზლად და სერიოზულად უდგებოდენ წამოყენებულ საკითხების გამორკვევას. მომხსენებელმა აღნიშნა ყველა ის, რაც გააკეთა მეორე ყრილობამ და შეჩერდა ფულის რეფორმაზე.

საბჭოთა ნიშნები, რომლებიც ერთად ერთი ფულის ნიშნები იყო რევოლიუციის დროს და რომელმაც დიდი როლი ითამაშა რევოლიუციის გამარჯვებაში, უკვე აღარ იბეჭდება და ჩვენ გადავდივართ მაგარ ვალიუტაზე. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა შესძლო თავისი ენერგიული მუშაობით და დაუღალავი შრომით მიეღწია ამ გამარჯვებამდე.

მტკიცე ვალიუტაზე გადასვლას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისათვის. გლეხი აღარ გაექცევა ბაზარს და თავის ნამუშევარს გამოიტანს გასაყიდათ, რადგანაც მას ეცოდინება, რომ გაყიდულ საქონელში აიღო მანეთი და ის მანეთი მანეთად რჩება და არავითარ მერყეობას ის არ განიცდის. ამავე დროს მოხდება ქალაქის ნაწარმოების გაიაფება და მრეწველობის გაფართოება.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობაზე. იმ დროს, როდესაც ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოები განიცდიან რყევებს, როდესაც დღითი დღე უარესდება მათი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, საბჭოთა რესპუბლიკები ნელა, მაგრამ მაგრად მიდიან წინ. თავის თავად ცხადია, ეხლანდელი ჩვენი იურიდიულად ცნობა დასავლეთ სახელმწიფოების მიერ არ არის გამოწვეული ჩვენი „ლამაზი თვალებით". ისინი ცდილობენ როგორმე გააუმჯობესონ თავისი მდგომარეობა, ამასთან იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეს და ძლიერებას.

შეკითხვებზე პასუხისგაცემის შემდეგ, კრების მიერ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც საბჭო ამბობს, რომ ის უკლებლივ გაატარებს ცხოვრებაში საკავშირო მეორე საბჭოთა ყრილობის დადგენილებებს ამხ. ლენინის მიერ შექმნილი ფოლადისებური კომპარტიის ხელმძღვანელობით.

ამხ. კახიანის მოხსენების შემდეგ გამოდის ამხ შამშე ლეჟავა და უხსნის დამსწრეთ კურორტ „შოვი"-ს მნიშვნელობას, რომელიც მდებარეობს რაჭის მაზრაში. ეს კურორტი მსოფლიო მნიშვნელობის არისო, განაცხადა მან და საჭიროა მის გაშენებაში მიიღოს მონაწილეობა ყველა მშრომელმა. შემდეგ გაშვებულ იქნა სურათები ეკრანზე, გადაღებული რაჭაში, რაც მართლა დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს. „შოვი"ს სურათი გადაღებულია იმ დროს, როდესაც იქ იყო კომისია ამხ. ამხ. ფილიპე მახარაძის, შამშე ლეჟავასი და სხვების შემადგენლობით. მაყურებლის წინ იშლება რაჭის ბუნების სიმდიდრე და განსაკუთრებით „შოვი"-ს მიდამოები. შემოტანილ იქნა წინადადება, რათა ფოთის დამზღვევმა კასამ ფოთის მუშებისათვის ააგოს ერთი პავილიონი თავის ხარჯზე. ეს წინადადება მიღებულ იქნა და მართლაც დამზღვევ კასამ მეორე დღეს გადაწყვიტა ასეთის აგება და უკვე წინასწარ მუშაობისათვის გადასცა „შოვი"-ს კურორტის საგანგებო სააშენებლო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ლეჟავას რვა ათასი მანეთი.

როდესაც პავილიონი აშენდება, ფოთის მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებსაც მალიარია ძლიერ ცუდ მდგომარეობაში აყენებს, საშუალება მიეცემათ დაისვენონ სუფთა ჰაერზე. ფოთის მუშა მოსამსახურეები იმედოვნებენ, რომ კურორტის სააშენებლო კომისია დააჩქარებს პავილიონის აგებას.

პრ. მეგრელიშვილი.

მუშათა ცხოვრება

ამხ. ნიკო გოცირიძის იუბილეს გამო

ნათქვამია: „საქმემან შენმან დაგაფასოს შენაო“, და ნიკოსაც სწორეთ თავის საქმით და ნიჭით დააფასებენ ჩვენი მუშები. ნიკო პირველია მუშებიდან უზენაესის ნიჭით დაჯილდოვებული. ნიკო პირველი მუშა სახალხო თეატრის სცენის მოყვარე და დღეს კი აკადემიურ დასის პირველი მსახიობი. ნიკოს მოღვაწეობა პირველად ქართულ თეატრიდან დაიწყო პატარ-პატარა როლების თამაშით. ამასთანავე მონაწილეობას იღებდა ის სხვადასხვა უბნებში გამართულ შინაურულ წარმოდგენებში, და შემდეგ 1897 წლის მიწურულში ჩვენც გვესტუმრა სახალხო თეატრის სცენაზე. ნიკო ჩვენი ისეთი სტუმარი არ აღმოჩნდა, როგორც ზოგიერთები, რომლებიც ჯერ მოვიდოდნენ და მერე ისევ მალე თავს გვანებებდნენ. არა, ნიკო ჩვენთან დარჩა ბოლომდე და დიდის ენერგიითაც მოჰკიდა ხელი. ჩვენ, სცენის მოყვარეებსაც გვწამდა მისი ნიჭი და ჩვენც ყველანი დიდი პატივისცემით ვეპყრობოდით მას. უნდა მოგახსენოთ, რომ სახალხო თეატრში რეჟისორები ძლიერ მალ-მალე გვეცვლებოდნენ. აქედან ყველა გარბოდა, რადგან არ იყო ჯამაგირიანი ადგილი და ერთის წასვლის შემდეგ მეორის მოსვლამდე ნიკო იყო ხოლმე ჩვენი რეჟისორი. არა ერთ წელს და ორს, არამედ ძალიან ხშირად, ნიკოს, როგორც ნიჭიერს მსახიობს, იწვევდნენ ხან ქუთაისისკენ და ხან თფილისში ქართულ თეატრისკენ, რასაკვირველია, კარგს ჯამაგირზედ, მაგრამ ის მაინც არ წავიდა და სახალხო სახლში მუქთად მუშაობა ამჯობინა. ნიკოს არც პოლიტიკური საქმიანობა ჰქონდა მივიწყებული. მას, როგორც მხატვარს, ახატვინებდნენ და აწერინებდნენ საიდუმლოდ დროშებს.

ნიკო იყო აგრეთვე ოსების სექციის რეჟისორიც, რომელიც ხელმძღვანელობდა ოსურს წარმოდგენებს ჯერ ავჭალის აუდიტორიაში და შემდეგ ზუბალაშვილის სახალხო სახლში. ნიკოსვე რჩევით ოსებმა გადათარგმნეს რამდენიმე ქართული სახალხო პიესა, და მით რეპერტუარი გაიძლიერეს. ამასთანავე ნიკომ გადმოთარგმნა რუსულიდან ორი პიესა „მღაროს უფროსი მუშა“ და „მოულოდნელი სტუმარი“. ასეთი გახურებული მუშაობა სწარმოებდა ამ 30 წლის განმავლობაში სახალხო თეატრის სცენაზე და გარედან მაცქერალი მუშა, ან ინტელიგენტი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ იქ არავინ ჯამაგირს არ იღებდა და, პირიქით, თავისას ხარჯავდა, ბევრი მოწინავე ინტელიგენტიც შეჰკითხებია ნიკოს თვეში რას იღებთო?.. სახალხო თეატრი იყო საქველმოქმედო დაწესებულება და ნიკოც ამ ფერხულში იყო ჩაბმული. ნიკოს—არც პროვინციები ჰქონდა დავიწყებული და იქაური პატარა სცენაც ბევრჯერ დაუმშვენებია თავისი მოხდენილი თამაშით. ძნელია ნიკოს დაფასება ამ პატარა წერილში და ეს ისტორიისათვის მიმინდვია, ეხლა კი უსურვებთ ნიკოს დიდიხნის სიცოცხლეს.

სახალხო თეატრის ერთი დამაარსებელთაგანი **მუშა-მსახიობი გიორგი ჯაბაური.**

ჩვენს მუშკორებში

23 ამ მარტს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის ბინაზე შესდგა ამავე გაზეთის მუშკორთა მორიგი საზოგადო კრება.

დღის წესრიგში იდგა 5 საკითხი. ყველა საკითხების ყოველმხრივი გაშუქების და მსჯელობის შემდეგ კრებამ ამ საკითხების შესახებ მიიღო შემდეგი დადგენილებანი: 1) გაიგზავნოს მსურველები მუშკორთა კლუბთან არსებულ მოსამზადებელ კურსებზე, სურვილი გამოსთქვეს და კურსების მსმენელთა სიაში ჩაეწერენ ჩვენი მუშკორები, 2) მუშკორთა წრეში მიღებულ იქნენ ახალი ამხ. ამხ. კარუმოვი ყიფიანი და სახვაძე, 3) გაზეთის შეღავათიან პირობებში გამოწერის შესახებ არჩეულ იქნა სპეციალური დელეგაცია. საქმის ინტერესების მიზნით სასურველია გაერთიანებულ იქნეს ისეთი მონათესავე განყოფილებები ადგილობრივ გაზეთებში, როგორიც არის „მუშათა ცხოვრება“ და „პროფკავშირები“.

მუშკორი ა. ნ.

საჭიროა მიექცეს ყურადღება

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

ანტონოვის ქუჩაზე სახლი № 24-ში სცხოვრობს მეჩექმე ალაბეგ ბაბაიანცი. მას ჰქონდა სახელოსნო რამდენიმე ალაგას, ალექსანდროვის და მელიქოვის კუთხეში; არ გადაიხადა დუქნის ქირა და დუქნის დაბეჭდამდის წინასწარ მოასწრო იარაღის გამოტანა და დაცლა.

შემდეგ გახსნა სახელოსნო ანტონოვის ქუჩა № 22 სახლში.

აქაც მიდგა თუ არა საქმე გადასახადებზე. მან მოასწრო სახელოსნოს დაცლა და გადაიბარგა თავის საცხოვრებელ ბინაზე. ის ახლა მუშაობს სახლში მიუხედავათ იმისა, რომ ის ემალება სახელმწიფო ვალდებულებას, ყოველგვარ გადასახადებ და აწუხებს მდგმურებსაც, რადგან მთელი დღე მასთან დაიარება საქმის შემკვეთლები და სხვა მრავალჯურის ხალხი, რის გამო მოუსვენრობაში აგდებს იმ მუშებს, რომლებიც მის გვერდში სცხოვრობენ. არა ერთხელ მიეცა მას წინადადება მდგმურების მიერ რომ გადაეტანა სახლიდან ქარხანა და მოესვენებინა მუშა-მდგმურები.

მუშებს ეშინიანთ, რომ ამ მეჩექმეს არ მოჰყვეს ვინმე ავაზაკი და არ გაქურდოს მუშების ოჯახი, ვინაიდან ის თვით არ არის სანდო პირი.

მივაქცევთ ამას ყურადღებას თვით მშრომელთა კავშირისას, რათა მან მიიღოს ზომები ალაბეგ ბაბაიანცის ასალაგმავათ.

მუშკორი მეუდგომელი.

მუშათა ქრონიკა.

— **მადლობის ღირსია ასეთი ფხიზელი და შეგნებული მუშა.** ვაგონის პარკის მუშამ ამხ. კამიშინმა ამ დღეებში მატარებლის გამცილებელ შარაშიძეს დაუჭირა სპირტი. სპირტი შარაშიძეს მიჰქონდა კონტრაბანდათ და სპეკულიაციის მიზნით როსტოვში. მადლობის ღირსი არიან ასეთი ფხიზელი ამხანაგები.

— **დარხეული ხანჯალი.** გამცილებელ გ. მარქარაშვილს, 1 მარტს დაუჭირეს ნახევარი ვედრო სპირტი, სპირტი მას მიჰქონდა კონტრაბანდათ მოსკოვში სპეკულიაციის მიზნით. ამის გამო მარქარაშვილი მოხსნეს და ჩამოიყვანეს დამსუფთავებლათ მატარებელ № 21—22. აგრეთვე დაუკლეს მას შრომის ხელფასიც სამი ხარისხით 15 მარტიდან.

— **მუშებს დროზე დაურიგდათ ჯამაგირები.** 20 მარტს ვაგონის პარკში დარიგდა ჯამაგირები ჩერვონეცის კურსზე. მუშები კმაყოფილნი არიან ჯამაგირების დროზედ მიღებით.

მუშკორი რკინისგზელი.

— **სპეც-საპონი მელითონე მუშებისათვის.** ამ დღეებში ლითონის განყ. ქარხანა-სახელოსნოების მუშებს დაურიგდებათ სპეც-საპონი იანვრის, თებერვლის და მარტის თვეებისა.

— **კიდევ ერთი მუშკორი.** ს. მუხრანში (დუშეთის მაზრა) ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებმა ჩვენი გაზეთის მუშკორათ აირჩიეს ამხ. კალისტრატე ქაჯაია, რომელიც სისტემატიურათ გვიგზავნის წერილებს. საჭიროა, სხვა სოფლებმაც მიბაძონ მუხრანელების მაგალითს.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

ახალგაზრდა უმუშევარს

მე ვირიცხები თბილისში ერთ-ერთ ტექნიკუმში მოწაფედ. ჩაწერილი ვარ შრომის ბირჟაში სამუშაოს საშოვნელათ. გავხდი ავათ. სანამ ფეხზე სიარული შემეძლო ამბულატორიული დახმარება მივიღე ქალ. ცენტრ. სამკურნალოდან. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგაც საჭირო შეიქნა სახლში ექიმის მოწვევა. მამაჩემი თვეში იღებს შრომის ხელფასიდ—9 მანეთს და 60 კაპ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი შემოსავლით მე მამა ექიმს ვერ მომიყვანდა და ვერც წამალს მიყიდდა, რადგან ამითი 5 სული ვცხოვრობთ. ექიმი უსასყიდლოდ ჩემთან არ წამოვიდა. ბედნიერი შემთხვევა იყო, რომ ავადმყოფობა არ გართულდა, რასაც შეიძლება სიკვდილი მოჰყოლოდა.

მე ვარ 17 წლისა ვიმყოფები მამაჩემის ხარჯზე. მამაჩემი დაზღვეულია გთხოვთ მაცნობოთ, მეკუთვნის თუ არა მე უფასო ექიმობა და წამლობა.

პასუხი: თანახმად დაზღვევის არსებული წესებისა უფასოდ საექიმო დახმარების მიღების უფლებით სარგებლობენ გარდა თვით დაზღვეულისა (ამ შემთხვევაში მამა თქვენის) მისი ოჯახის შემდეგი წევრები, რომელნიც იმყოფებიან მის კმაყოფილებაზე:

ა) მცირე წლოვანი შვილები (18 წლამდის) (**ამ შემთხვევაში პირადად თქვენც**); ობოლი ძმები და დები 16 წლის ჰასაკამდე.

ბ) შრომის უნარს მოკლებული მშობლები და მეუღლე.

(**იხ. დაზღვევის წიგნაკში გვერდი 11 თავი საექიმო დახმარებით სარგებლობის წესი**). გახსოვდეთ ამხანაგო, რომ ყველა დაზღვეულები და მათი ოჯახის წევრები ვალდებულნი არიან წაიკითხონ, შეისწავლონ და შეითვისონ დაზღვევის ყველა ის წესები და დებულებები მაინც, რომელნიც მოკლედ აღნიშნულია დაზღვევის წიგნაკში და რომლებიც მისცემენ მათ საშუალებას თვითონვე გაერკვიონ დაზღვევის კანონმდებლობაში. სირცხვილია, დაზღვეულმა არ იცოდეთ აღნიშნული წიგნაკის შინაარსი მომავლისთვის მაინც.

ქ. გორი

სადგურის რაიონის მცხოვრებელთა უმრავლესობა შესდგება რკინისგზის და სახერხ ქარხნის მუშებისაგან. ამ მუშებს ხსენებულ რაიონში აქვთ სასახლკარო ადგილები, სადაც მათ თავის შრომით და ქონებით გააშენეს სახლები, რასაკვირველია, სადგურიდან დაშორებით, ვინაიდან ახლო არის ძველი შენობები, რომელიც ეკუთვნით ვაჭრებს და საერთოდ უფრო შეძლებულ მცხოვრებელთ. ამ რაიონში რკინისგზის მუშათა ადგილკომის ხელმძღვანელობით და მეცადინეობით ეწყობა წარმოდგენები და სხვა. რაიონის მცხოვრებნი დიდს გაჭირვებას განიცდიან უწყლობის გამო. ამაზედ ბევრი ლაპარაკი იყო ქალ. საბჭოს თითქმის ყველა სხდომებზედ, მაშინაც ვერ მოხერხდა ამ საკითხის მოწესრიგება, სადგურის რაიონის მცხოვრებლნი კი უფრო და უფრო გაჭირვებაში ვარდებიან, თვით სადგურის წყალსადენიდან ხან აძლევენ წყალს და ხან არა. დროა ასეთ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, მით უმეტეს, როცა მცხოვრებლები თვითონ კისრულობენ შეძლებისდაგვარად ხარჯებში მონაწილეობის მიღებას.

კორ. ინ.

საშეფო სოფელში

8 მარტს სოფ. დურნუკში გამგზავრა მეტყევეთა კომუჯრედის № 1 საშეფო კომსია შემდეგი შემადგენლობით: ს. შაფათავა, ს. ვართანოვი, ლ. ენუქიძე, ა. დვალიშვილი და წით. ეშელონის სამხედრო კომისარი ამხ. სლოვინი. ს. პატარა დურნუკში, რომელიც მდებარეობს თბილისიდან 35 ვერსზე, მისვლისთანავე მოვითხოვეთ ადგილობრივი კომისარი, რომელიც მაშინვე გამოცხადდა და სიამოვნებით მიიღო ჩვენი დავალება ჩამოეარა პატარა დურნუკის (არის კიდევ დიდი დურნუკი ერთნახევარ ვერსზე დაშორებული) მცხოვრებნი და მათთვის ერთ ალაგს მოეყარა თავი, რათა მათ გაეცნოთ ჩვენთვის თავიანთ პირ-ვარამი, საჭირბოროტო საკითხები. ერთს საათში უკვე თავმოყრილი სოფლის ყრილობას ხსნის ამხ. შაფათავა, რომელიც უხსნის დამსწრეთ სოფლის მშრომელ გლეხების და ქალაქის მუშათა კავშირისა და ურთიერთ დამოკიდებულებების აზრსა და მნიშვნელობას.

შემდეგ შაფათავამ მოუწოდა დამსწრეთ გაეცნოთ კომისიისათვის სოფლის ყოველგვარი საჭირბოროტო საკითხები. სოფლელებმა, სხვათაშორის, აგვიხსნეს, რომ მათი სოფელი ძლიერ ღარიბაა მიწა-ტყით, რომ მათ არ აქვთ საკმაო არც სარწყავი მიწები, არც ტყე და არც მთაო, სახლის აშენება რომ გვინდოდეს, არ შეგვიძლია მასალა მოვჭრათ, რადგან ტყე მეორე სოფელს ეკუთვნის. სახნავ-სათესი მიწების სივიწროვესაც განვიცდით, უვარგისი ქვიანი ნიადაგი გვაქვს, დასამუშავებლად ძნელი, შემოსავლით მწირი და ამის გამო ნორმა არ გვყოფნისო. ამ სოფელში ყოფილა აგრეთვე ერთი წისქვილი, რომელიც, გლეხების სიტყვით, ექვს კულაკს აუღიათ იჯარით და ახლა ხალხს თვის ნებაზე აძრობენ ტყავს; წინათ თუ ფუთზე 1 გირვანქას ღებულობდენ ახლა 3 გირვანქასაო.—ითხოვენ სოფელს მოვაშოროთ ასეთი წურბელები. ამ კრებაზედვე გადმოგვცეს, რომ სოფელში ერთ ულუკმაპუროთ დარჩენილი დაობლებული ოჯახიაო, და ჩვენც შევეცადეთ მის დახმარებას. ჩვენთან მყოფმა ამხ. ფარსელმა იქვე გადასცა 1 ფუთი პური და 500 მილიონი მან. 1 ტრანსპ. ეშოლონის უფროსმა ამხ. სლოვინმა თვიურად 1 დღის ულუფა დაუთმო, რაც შეადგენს 10 ფუთს ფქვილს, რამდენიმე გირვანქა ზეთს, შაქარს და სხ. წვრილმანს, რაც დიდს ნუგეშს მისცემს უპატრონოთ დარჩენილს ქვრივ-ობლებს. იმედია, ჩვენი ამხანაგები კეთილად შეასრულებენ იმ დავალებებს, რომელნიც სოფელმა დააკისრა მათ.

ლევან ენუქიძე.

კულტ-მუშაობა პრიუტის თემში (თბილისის მაზრა)

პრიუტის თემი ტფილისიდან სამ.-დასავ.ით მდებარეობს. იგი შეიცავს 14 სოფელს. ეს თემი კულტურულათ ძალიან ჩამორჩენილია.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დაეტყო ამ თემს გამოცოცხლება.

დაარსეს სოფ. პრიუტში ქოხ-სამკითხველო, აგეს მუშათა-გლეხთა კლუბი და ეხლა აქ სისტემატიურათ იდგმება წარმოდგენები როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე; აწყობენ ლექციებს სხვადასხვა საკითხებზე.

პრიუტშივე არსებობს ორი სკოლა: ქართული, რომელიც ორი თვეა რაც დაარსდა, ხოლო რუსული სკოლა დიდი ხანია რაც არსებობს.

პრიუტი აიღო საშეფოდ ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ეს ყველაფერი არის სოფ. პრიუტისთვის.

თემის სხვა სოფლები! მათ ნუ იკითხავთ. მათთვის არ არსებობს არც სკოლა და არც სხვა ისეთი რამ, რაც ხელს შეუწყობდა გლეხების განვითარებას.

მხოლოდ ერთი სოფელი (წყლულეთი) მგონი მელითონეთა კავშირს ჰყავს საშეფოდ აყვანილი.

არც კლუბი, არც სკოლა აქ არ არის, სწავლა კი უნდა ხალხს;

საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, კერძოდ საჭიროა ერთ-ერთი ცენტრალური სოფელი (მაგ. ლვევი) რომელიმე დაწესებულებამ მიიღოს თავის მზრუნველობაში და ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების გავრცელებას ამ მივიწყებულ თემში.

ფ. [illegible]

პროვინციის ფოსტა

სამოჩინეხუდის თემი (ქუთ. მაზ.) ამხ. „ნემსს“. თქვენ გვწერთ ადგილობრივი საავადმყოფოს „საშინელ უსუფთაობაზე“, ხოლო არ აღნიშნავთ, თუ რაში გამოიხატება კონკრეტულად ეს უსუფთაობა. მოგვაწოდეთ ფაქტიური მასალა და მოვათავსებთ.

ქ. გორი. ამხ. შირინნის. პროვინციელ კორესპონდენტებისათვის ჰონორარის მიცემის საკითხი უახლოეს დროში იქნება გადაჭრილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 8.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

უსასყიდლოდ გადასული ქალაქად მდებარე ქონების (შენობის) შეფასების წესის შესახებ.

უსასყიდლოდ გადასული ქალაქად მდებარე ქონების (შენობის) შეფასების წესის შესახებ 1922 წ. ნოემბრის 8-ს თარიღით და 57 №-რით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უსასყიდლოდ გადასული ქალაქად მდებარე ქონების (შენობის) ღირებულება განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ქონების ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია ქალაქის მიერ 1917 წლ. იანვრის 1-მდე მოხდენილი შეფასებით შემცირებულ იქნეს 10-ჯერ;

ბ) ქონების ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია ქალაქის მიერ 1917 წლის იანვრის 1-დან და შემდეგ წლებში მოხდენილი შეფასებით, შემცირებულ იქნეს 15-ჯერ.

2. ქონება, რომელიც სრულიად შეფასებული არ ყოფილა, სპეციალურად შეფასებულ უნდა იქნეს ფინანსთა ინსპექტორის მეშვეობით ამ ქონების საბაზრო ღირებულების კვალობაზე შეფასების დღისათვის.

შენიშვნა: შეფასება უნდა მოხდეს მტკიცე ვალიუტით (ჩერვონეცით) ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარგზავნილ მცოდნე პირთა თანადასწრებით, ამ პირთათვის გასამრჯელოს გადაიხდის მემკვიდრეობის მიმღები.

3. ასევე უნდა იყოს შეფასებული მემკვიდრეს მოთხოვნით ყოველი ქონება, უკეთუ მისი ღირებულება, განსაზღვრული ამა დადგენილების 1 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული წესით, ცხადათ აღემატება საბაზრო ღირებულებას.

4. ამა დადგენილების 1 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტში აღნიშნული ღირებულება ქონებისა, [illegible] უნდა იქნეს ჩერვონცზე ამა წლის [illegible] 22-ს კანონისამებრ.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდ. მოადგილე ლ. ღოღობერიძე.
საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.
1924 წ. მარტის 15
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს, 29 მარტს, საღამოს 7 საათზე **ცენტრალური პარტიული კლუბის დიდ დარბაზში** მოწვეულია ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის, ცენტრალური პარტიული სკოლის და 21-ე სკოლის ლექტორების, პოლიტიკური ცოდნის სკოლების, რაიპარტსკოლების, ახალ წევრების—ლენინელების წრეების და თბილისის ორგანიზაციის პასუხისმგებელ ხელმძღვანელების თათბირი.

დღის წესრიგი: 1. ლენინიზმის პროპაგანდის პროგრამა. 2. ლენინიზმი პოლიტიკური ცოდნის და რაიონულ პარტიულ სკოლებში.

საქართ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

— **თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება** შაბათს, 29 მარტს, დილის 10 საათზე, თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში **იწვევს თათბირს რევოლუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის მოსაწყობად.**

სავალდებულოა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს, ახალგაზრდობის კომკავშირის, არმიის, ქალთა განყოფილების და რაიკომების წარმომადგენელთა დასწრება.

თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: მ. ესსენი.

— **საქართველოს ახკომკავშირის თბილისის კომიტეტი** აცხადებს, რომ ერთიანი საკავშირო დღე ორშაბათიდან გადატანილია ხუთშაბათისათვის.

მორიგი საკავშირო დღე ორშაბათიდან 31 მარტიდან გადატანილია ხუთშაბათისათვის 3 აპრილს.

საქ. ახკომკავშირის თბ. კომიტ. საორგ. განყოფ. გამგე გ. მეტონიძე.

განათლების მუშაკთა სახლში.

პარასკევს, 28 მარტს საღ. 7 ნახ. საათ. რუსული ენის მასწავლებელთა წრე.

ამავე დღეს საღ. 7 საათ. არა რუსულ სკოლების რუსული ენის მასწავლებელთა წრე.

ამავე დღეს საღ. 6 ნახ. საათ. არა ქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა წრე.

ამავე დღეს საღ. 7 საათ. პოლიტეკონომიის წრე.

— **საქართველოს ახკომკავშირის თბილისის კომიტეტი** შაბათს, 29 მარტს, საღამოს 5 საათზე, 2 რაიონის კლუბის შენობაში იწვევს თბილისის ორგანიზაციის იაჩეიკების ბიუროების კონფერენციას. დღის წესრიგში დასმულია საკითხი: „საქართველოს ახკომკავშირის მორიგი ამოცანები ცეკას პლენუმის და რუსეთის ახკომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის რეზოლიუციის მიხედვით“.

იაჩეიკების ბიუროების ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს ახკომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი ლომიძე.

განცხადებები

ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის უჯრედი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ამხ.

ვერა პიზირიას

უდროვო გარდაცვალებას.

უფ. 1—1

ვ. ი. ლენინის სახელობ. საოპერო თეატრი

სახალხო არტისტის

ლეონიდ სობინოვის

გასტროლები

დღეს, პარასკევს, 28 მარტს ალფრედის პარტიას შეასრულებს

ტრავიატა ლ. სობინოვი

კვირას, 30 მარტს

ლოენგრინი

ლოენგრინი—სობინოვი

დადგმა—კ. მარჯანიშვილის

ყველა წარმოდგენებს დირიჟორობს ი. ფალიაშვილი.

№ 967 0—4

განცხადება

ევალება ყველა საცხოვრებელ სახლების პატრონებს, გამგეებს, მმართველებს და მოიჯარადრეებს ა/წ. 1-ლ აპრილიდან **განაახლონ** თავიანთ ხარჯზედ

საბინაო დავთრები

მიუხედავათ იმისა, შარშანდელ საბინაო დავთრებში დარჩენილია უხმარი ფურცლები თუ არა.

საბინაო დავთრება იყიდება სამისამართო მაგიდაში (ლ. დუმბაძის—ყოფ. ველიამინოვის ქ. № 7) დილის 9-დან 3-დის და საღამოს 5—8 საათამდის შემდეგ განაწილებით და ფასებში.

ვადა

1-დან 10 აპრილამდის—1, 2, 3 და 13 სამილ. რაიონ არსებულ სახლების.
10-დან 20 „ —4, 8, 9 და 10 „ „
20-დან 30 „ —5, 6, 7, 11 და 12 „ „

ფასი

12 ფურცლიანი დავთარი—20 ჩერვ. კაპ.
24 „ „ —40 „ „
32 „ „ —60 „ „
100 „ „ —1 მან. 70 კაპ.
200 „ „ —3 მან. 40 კაპ.

სამისამართო მაგიდის გამგეს ყოველი სახლის პატრონმა საბინაო დავთრის შესაძენად აუცილებლად უნდა წარმოუდგინოს შემდეგი ფორმის ცნობა. . .

№№ რიგ.	სახლის პატრონის, გამგის ან მმართველის სახელი, მამის სახელი და გვარი (ვრცლად და გარკვეულად)	ადგილ. რაიონ.	ქუჩის ძველი სახელი	ქუჩის ახალი სახელი	სახლის №	სახლის აწერილობა					შენიშვნა
						რამდ. სართულიანი	ქვის	ხის	ოთახების რაოდენობა	რამდ. სული ცხოვრ. სახ.	

სახლის პატრონის ან გამგის ხელის მოწერა . . . .

ის პირები, რომლებიც დადგენილ ვადაში ზემოაღნიშნულ მოთხოვნილებას სრული სისწორით არ შეასრულებენ და ძველი საბინაო დავთრებიდან ახლებში არ გადასწერენ ყველა მდგმურებს ერთი კვირის განმავლობაში, დაისჯებიან, თანახმად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ა.—წ. 15 იანვრიდან № 9 სავალდებულო დადგენილებისა, ადმინისტრატიული წესით იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ორ თვემდე ანდა ჯარიმით 100 ჩერვონულ მანეთამდე.

თბილისის მ. | გ. მილიციის უფროსი—**ხმალაძე.**
თანაშემწე ადმინისტრატიულ ნაწილში—**კიდურაძე.**
979—1—1 სამისამართო მაგიდის უფროსი—**ახათიანი.**

აღმასკომის საფინანსო განყოფილება

ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ 1923 წლის შენობებზე გაწერილი გადასახადის მოხსნა შემცირებაზე და საერთოდ სხვა შეღავათის მინიჭებაზე განცხადებები საფინანსო განყოფილების მიერ მიღებულ იქნება მხოლოდ ა. წ. 5 აპრილამდე

ის მოქალაქე, რომლის შენობაზე გაწერილი გადასახადი არ აღემატება 5 მანეთს, განთავისუფლებული იქნება ამ გადასახადისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს მოწმობას, რომ ის არის ან კავშირის წევრი ან შრომის ბირჟაში ჩაწერილი უმუშევარი ანდა ულარიბესი მოქალაქეთაგანი.

საფინანსო განყოფილების გამგე **გაგოშიძე**
ნის. № 973—3—3

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი

აცხადებს კონკურსს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საავადმყოფოს სამი ექიმის თანამდებობის დასაჭერად: ექიმ აკუშორ-გინეკოლოგისა, ვენეროლოგისა საავადმყოფოში და ერთიც საექიმო პუნქტის გამგისა ხუთი ვერსის მოშორებით ჭიათურიდან, ჯამაგირი 15 გირვანქა სტერლინგი თითოს, პუნქტის ექიმს კი ამასთან ერთად—უფასო ბინა და გათბობა-განათება.

განცხადებები უნდა შემოტანილ იქნას ა. წ. აპრილის 10-დე ჯანსახკომისარიატის საკონკურსო კომისიაში. განცხადებასთან უნდა დართული იყოს: მოწმობა უნივერსიტეტის დამთავრების შესახებ, ნამსახურობის სია Curiculum vitae, სამეცნიერო ნაწარმოებნი (თუ არის), ცნობები საზოგადო სტაჟის შესახებ და შეძლებისდაგვარად პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციების შეხედულობა. პირობები ჯანსახკომში ოთახი მე-3.

სამედ.-საორგ. განყ. გამგე—**ფრანგულიანი.**
ქვეგანყ. გამგე—**შალიგინი.**
ნ. 981 1—1

საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის (ყოფ. სახბანკი)

გამგეობა

ამით აცნობებს ყოფილ ტფილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკებისა და ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების მესესხებლებს, რომ, თანახმად საქართველოს საბჭოთა მთავრობისაგან 28 დეკემბერს 1922 წ., № 16 გამოცემული დეკრეტისა, მიმდინარე წლის 31 იანვარს გათავდა ვადა მოხსენებულ ბანკებსა და საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებულ მამულებზე აღრიცხულ ვალების მეორე ნახევარ წლის გადასახადების შემოსატანისა და ამის გამო მოკლე ხანში გამგეობა შეუდგება საჯარო ვაჭრობისათვის განცხადების შედგენას და, რადგანაც საჯარო ვაჭრობის მომზადება და განცხადების გაზეთებში დაბეჭდვა გამოიწვევს დიდ ხარჯს, რომელიც გადატანილი იქნება მესესხებლებზე და განცხადების სიებში მოქცეულ იქნებიან ყველა მამულები, რომელთა პატრონებს არ შემოუტანიათ პირველი და მეორე, ან მხოლოდ მეორე ნახევარი წლის გადასახადები, გამგეობა სთხოვს ასეთი მამულების პატრონებს ზედმეტი ხარჯის ასაცილებლად კეთილ-ინებონ და შემოიტანონ მოკლე ხანში ვადაგასული გადასახადები.

ნ. 977 1—1

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციისაგან

დამატებითი წინათ გამოქვეყნებულ განცხადებისა გაზ. „კომუნისტში“ და „მუშაში“ 24, 25 და 26 ამა მარტიდან №№ 66, 67 და 68 ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციისა ამით აცხადებს მოსკოვის გაზეთების ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ ვინაიდან ბონები საგრძნობლად ეცემა და საკურსო განსხვავება საგრძნობლად იზრდება რასაც ზარალი მოაქვს ექსპედიციისათვის, რადგან იმ შემოსულ ბონების გადაჩერვონებით, რომელიც თავს იყრის ხელის მოწერის დროს ექსპედიცია ჰკარგავს 55 პროც. მათი ღირებულებისას და რადგანაც ექსპედიციამ აუცილებლივ უნდა გადაგზავნოს მოსკოვში ჩერვონცები არა უგვიანეს პირველი რიცხვისა და ხელისმოწერა კი იწყება 25 დან თავდება მეორე თვის 10-ში ამიტომ უკვე გამოცხადებულ ფასებს

ემატება საკურსო განსხვავება

ჩერვონცების შესაძენათ 55 პროც., მაგალითებრ: „პრავდა“ ღირს 1 მ. 30 კ. საკურსო განსხვავება 55 პროც.—72 კაპ. სულ—2.02 კაპ.

ის ხელის მომწერნი, რომლებიც გადაიხდიან კურსს მტკიცე ვალიუტით—ჩერვონცით ე. ი. ისინი იხდიან წინათ გამოცხადებულ ფას მაგალითებრ: „პრავდა“—1,30 კ. „იზვესტია“—1.30 კ. და ამ რიგად სხვა გაზეთებზე ხელის მოწერა მიიღება დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე რუსთაველის პროსპექტი № 26 ტელ. № 5—43.

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგეობის
თავმჯდომარის მოადგილე **პ. სხვარელიძე**
ექსპედიციის გამგე **ა. ჩიქილაშვილი**
3—1 ნის. 980.

საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის (ყოფ. სახბანკი)

გამგეობა

ამით აუწყებს ყოფილ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მესესხებლებს, რომ ყველა მოხსენებულ ბანკში დაგირავებული და ტფილისის გუბერნიის ქალაქებში მდებარე მამულების საქმეები და საანგარიშო წიგნები გადმოცემულია სახალხო ბანკის ქუთაისის საიპოთეკო განყოფილებიდან ტფილისის საიპოთეკო განყოფილებაში (შაგაბის ქ. № 4) და ამიერიდან აღნიშნული მამულების პატრონებმა საქართველოს საბჭოთა მთავრობისგან 28 დეკემბერს 1922 წ. № 16 გამოცემული დეკრეტის თანახმად ვალის გადასახდელად უნდა მიმართონ დასახელებულ საიპოთეკო განყოფილებას.

ნ. 977 1—1

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორგანოვის ქ. № 20. 126—25—18

დაიკარგა სალექციო წიგნაკი № 3891, მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 1921 წელს გიორგი კონსტანტინეს ძე ჯაფარიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 № 742.

დაიკარგა სამხ. კომისარიატის სამობილიზაციო განყოფილებისაგან მოცემული თავისუფლების მოწმობა ვახტანგ იოსების ძე გვეტაძის სახელობაზე მოცემული № 2314. ჩაითვალოს გაუქმებულად. 740 1—1

საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსის“ გამგეობა

აცხადებს, რომ ხსენებულ ამხანაგობის წევრთა

რწმუნებულების წლიური ყრილობა დანიშნულია ა. წ. 14 აპრილს თიყურმიშაში

დღის წესრიგი იქნება გამოცხადებული ცალკე, ყრილობის წინა დღეებში.

ნ. 978 2—1

ამხანაგობა „მწყემსი“-ს გამგეობა.